# ლამპარი

ცალკე ნომერი 5 კაპ.

თფილისი

ოთხშაბათი, 28 (12) ივნისი.

1906

წელიწადი პირველი

დეპუტატ ვინავერმა დუმაში განაცხადა: „ეხლანდელ მთავრობას“ ესაჭიროება კაცის მკვლელთა ბრბო“.—ეკატერინოსლავში სახალხო მიტინგზე პოლიციამ დააპატიმრა ორატორი, მაგრამ მუშებმა იგი გაანთავისუფლეს.—პეტერბურგში პოლიტიკურ დემონსტრაციებს მართავენ.

№ 52 ყოველ-დღიური გაზეთი. № 52


## რედაქციისაგან:

**აგენტების საყურადღებოთ.** რედაქცია სთხოვს თავის აგენტებს ანგარიში 30 ივნისამდე გაასწორონ.

**ხელის მომწერთა საყურადღებოთ.** რედაქცია აცნობებს ქალაქ გარეთელ ხელის მომწერლებს, რომ ხელის მოწერა მიიღება **ქუთაისში** „კოლხიდა“-ს კანტორაში ი. კვიცარიძესთან; **ბათუმში** მიხ. კალანდაძესთან და **ოზურგეთში** მოსე ტუღუშთან.

ქ. თფილისში ხელის-მოწერა **მხოლოდ რედაქციაში** მიიღება. **რედაქცია პასუხს აგებს იმ ხელის-მომწერთა წინაშე, რომლებიც პირდაპირ რედაქციის კანტორაში მოიტანენ ფულს.**

ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ თვის პირველი რიცხვიდან. რედაქცია სთხოვს თვიურ ხელის მომწერლებს მომავალი თვის ფული ივნისის დამლევამდის წარმოადგინონ.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, Редакція „ЛАМПАРИ“.

---


ხუთშაბათ, 26 ივნისს,
ქალაქის სამმართველოს დარბაზში საქველმოქმედო მიზნით ექიმი ხატისოვი წაიკითხავს ლექციას

**პროფესიონალური კავშირების მნიშვნელობის შესახებ.**

დასაწყისი საღამოს 7 საათზე. დარბაზში შესვლა ღირს 50 კ. და ქანდარაზე 20 კ. (2—1)



## განცხადება

თფილისის ქართველ სათავად-აზნაურო კერძო გიმნაზიის პედაგოგიური საბჭო აცხადებს, რომ მომავალ სამოსწავლო წლის დასაწყისიდან სათავად-აზნაურო გიმნაზიაში იქნება შემდეგი თავისუფალი ადგილები: 1) მასწავლებელ—აღმზრდელებისა: ა) ქართული ენისა—3, ლათინური ენისა—1, მათემატიკისა—2, გერმანული ენისა—1, ისტორიისა—1, ბუნების მეტყველებისა—1 და რუსული ენისაც—1. 2) მოწვეულ მასწავლებლებისა—ფრანგული ენისა—1 (12 გაკვეთილი), სამართლისა—1 (4 გაკვეთილი).

მასწავლებელ-აღმზრდელი ვალდებულია კვირაში მისცეს 18 გაკვეთილი და ამასთანავე შეასრულოს აღმზრდელის მოვალეობა. ჯამაგირი ექნება წლიურათ 2400 მან. მოწვეულ მასწავლებელს გაკვეთილში ეძლევა 80 მან. გიმნაზიასთან არსებობს საპენსიო კასა, რომლის წესდება ყოველი მასწავლებლისათვის სავალდებულოა. მსურველთ თხოვნით უნდა მომართონ საპედაგოგიო საბჭოს. თხოვნების მიღების ვადა 15 ივლისია. თხოვნა მიიღება ტელეგრამითაც. სხვა ადგილზე სამსახურის დრო მასწავლებელს პენსიის მიღებისათვის არ ეთვლება. (3—1).


---

### სახელმწიფო დუმის გარშემო

I

დღეს შესრულდა სწორეთ ორი თვე მას შემდეგ, რაც რუსეთის იმპერიის, ოდესღაც ყინულებით გათანგულ და ეხლა კი საშინლათ აბობოქრებულ, ზღვაზე რევოლიუციის ტალღებმა ამოისროლეს სახელმწიფო დუმა. იმ თავიდანვე დუმისკენ, როგორც შველა-ხსნის ნავისაკენ ყველა მხრიდან ურიცხვი ხელები იქმნა გაწვდილი. ხალხი იმედოვნებდა, რომ ამ ნავზე გადაირჩენდა თავს „კაცის მჭამლებისაგან“. „კაცის მჭამლები“ კი სწორეთ ამ ნავზე ეპირებოდენ ერთმანეთს საუცხოვო ნადიმს; ძველი რეჟიმის ქურუმნი დუმის საშუალებით ფიქრობდენ განეგრძოთ თავიანთი საზიზღარი ვაჟხანალია; მაგრამ იმათმა ვერაგობამ აამხედრა მთელი ქვეყანა; თვითმპყრობელ მთავრობას წინააღუდგენ ყველა საზოგადოებრივი კლასები. სახელმწიფო დუმაში გაჩაღდა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა ძველისა და ახალ რუსეთს შორის. და რადგან ამ ნავის საჭე ჯერ ისევ ხელთ უპყრია ძველი რუსეთის ქურუმთ, ცხადია, რომ ახალი რუსეთი კვლავ შორს არის ნავთსაყუდლიდან. ის კი არა, საკითხავია, თუ საით მიგვყვართ სახელმწიფო დუმას, ყოველ შემთხვევაში საკითხავია, თუ რა გაგვიკეთა მან ამ ორი თვის განმავლობაში.

ამ საკითხზე ჩვენი „ბოლშევიკები“ გაბედვით უპასუხებენ,—„რომ დღემდის სათათბირომ (დუმამ) წყლის ნაყვის მეტი ვერა გააკეთა რა, ამიტომ არის, რომ ის ვერავითარ პოლიტიკურ ცენტრათ ვერ გადაიქცა, ვერავითარი ხალხი ვერ შემოიკრიბა თავის გარშემო და იძულებულია უნიადაგოთ იტრიალოს ჰაერში“ („ახალი ცხოვ.“ № 1). ასეთი შეხედულება, ჩვენის აზრით, ეწინააღმდეგება სინამდვილეს. დღეს ბრმაც კი ხედავს, რომ მთელი ქვეყნის ყურადღება მიპყრობილია სწორეთ სახელმწიფო დუმაზე და ამასა მოწმობენ, თავისდა უნებურათ თვითონ „ბოლშევიკები“, რომლებსაც თავიანთ გაზეთებში ყოველდღე გაუთავებლივ სწერენ სახელმწიფო დუმის შესახებ. ასე არ მოიქცეოდენ, დუმა რომ ჰაერში გამოკიდებული ქაღალდის ფრიალა იყოს. დუმის შესახებ გაუთავებლივ სწერენ ყველა მიმართულების, ყველა პარტიების თუ ფრაქციების ჟურნალ-გაზეთები; დუმაზევე ბჭობენ და კამათობენ უანგარიშო კრებები, მიტინგები; ამავე საგანზე იღებენ მრავალ რეზოლიუციებს; დუმას უყენებენ ასეთ თუ ისეთ მოთხოვნებს. ყველა კლასები და საზოგადოებრივი წრეები ბრძოლის გეგმას ამუშავებენ სახელმწიფო დუმის მდგომარეობის, იმის არსებობის მიხედვით. დიახ, დუმა, წინააღმდეგ „ბოლშევიკებისა“, ხდება იმ პოლიტიკურ ცენტრათ, რომლის გარშემო იკრიბება მთელი ხალხი, მთელი იმპერია. ერთნი ამ ცენტრს უტრიალებენ ლოზუნგით „ძირს დუმა!“ და ესწრაფიან მის განადგურებას და ტრეპოვის დიქტატურის გამოცხადებას ძველი რეჟიმის სადიდებლათ; თუ ამას ვერ შესძლებენ, მაშინ უნდათ ხელშეკრულება დასდონ ეკონომიურათ გაბატონებულ კლასებთან, რომ მათ სახელმწიფოს ახალ გემზე დათმობილი ექნებათ საპატიო ადგილები (კაიუტა—luxe), საიდანაც ისინი ფხიზლათ დაიჭერენ თვალს გემის მიმართულებაზე და ყოველთვის, როცა კი გემი ხალხის აღთქმულ ქვეყნისაკენ იზამს პირს, ისინი უმალვე ქვესკნელიდან გამოიწვევენ ჯოჯოხეთის ძალებს ასეთი მიმართულების თავიდან ასაცილებლათ. ასეთია ბუნებრივი მისწრაფება ძველი რეჟიმის უმთავრეს ქურუმთა. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ დასახელებული ხელშეკრულება აქამდის უკვე ფაქტი იქნებოდა, რომ ერთობ მუყაითათ არ მუშაობდეს კამარილა, „ვარსკვლავების პარტია“ და ძმანი მათნი. ძველი რეჟიმის ქურუმთა ეს კატეგორია არასოდეს არ შეურიგდება იმას, რომ ბიუროკრატიულ თვითმპყრობელობას ნირი შეეცვალოს. დღეს რომ დამყარდეს მაგ. გერმანიისაზე ბევრათ უარესი კონსტიტუციონური მონარქია, ისინი მაინც ერთი წუთითაც არ შეწყვეტენ ბრძოლას და ეცდებიან განუსაზღვრელ თვითმპყრობელ მონარქიის აღდგენას.

მეორენი სახელმწიფო დუმას უტრიალებენ იმავე ლოზუნგით: „ძირს დუმა!“ მაგრამ სრულიად სხვა განსხვავებით. ისინი ცდილობენ გაფანტონ დუმის გარშემო შეკრებილი ხალხი, ცდილობენ დუმას ჩამოაშორონ ხალხის ყურადღება; ამიტომ ისინი ირწმუნებიან, რომ დუმა „ვერავითარ პოლიტიკურ ცენტრათ ვერ გადაიქცა“ და ვერც გადაიქცევა ვერაოდეს, რადგან დუმა „უნიადაგოთ ჰაერში ტრიალებს“; მათი მისწრაფებაა დუმას მხარი აუქციონ და პირდაპირ, მოკლეთ მიიდენ საერო დამფუძნებელ კრებამდის. ესენი წარმოადგენენ რევოლიუციონურ ხალხის ძალიან პატარა, ერთ მუჭა ნაწილს. მკითხველმა უკვე იცის ამათი სახელი: ესენია „ბოიკოტისტები“, „ბოლშევიკები“, იგივე ბლანკისტები.

მესამენი დუმის გარშემო იკრიბებიან ბეჯითი გადაწყვეტილებით რუსეთის პირველი „პარლამენტი“ გადააქციონ ნამდვილ პარლამენტის მოსაპოვებელ იარაღათ. ხალხის ეს ნაწილი შეადგენს ქვეყნის დიდ უმრავლესობას. აქ არიან პროლეტარიატი, გლეხობა, მემამულეები, კაპიტალისტები და სხ. ერთი სიტყვით ყველა სოციალური ელემენტები, ყველა კლასები და წრეები. ყველა ამათ მეტ-ნაკლების სიცხოველით ერთი რამე აქვთ საერთო: ზიზღი და სიძულვილი ბიუროკრატიულ თვითმპყრობელობისადმი, მისწრაფება პოლიტიკური მონობის დასამხობათ. მაგრამ მათ შორის დიდი უთანხმოებაა იმის შესახებ, თუ რა უნდა დამყარდეს ძველი რეჟიმის ნანგრევებზე; და ამ პოლიტიკურ უთანხმოებას იწვევს მათი ეკონომიური უთანხმოება.

ეკონომიურათ ისინი იყოფებიან ორ, უმთავრეს ერთი მეორის შეურიგებელ მოწინააღმდეგე ბანაკათ, რომელთა შორის, რა თქმა უნდა, მთელი სოციალური გრადაციაა, კიბეა, თავის განსაკუთრებული ინტერესით, რაიც, ცხადია, ართულებს პოლიტიკურ ბრძოლას. ეკონომიურათ ძლიერი და გაბატონებული კლასები თვით დემოკრატიული რესპუბლიკის განხორციელებით არამც თუ არაფერს წააგებდენ, მოგებულიც დარჩებოდენ, რომ პროლეტარიატში არ ვითარდებოდეს კლასობრივი ცნობიერება. მაგრამ გალაღებული ბურჟუაზია კარგათ ხედავს შინ და გარეთ (დაწინაურებულ ქვეყნებში), რომ პროლეტარიატი შეუჩერებლივ იმოსება ცნობიერებით და ძალა-უფლებით, რათა საბოლოოთ მოსპოს მთელი ბურჟუაზიული წეს-წყობილება. აი ეს გარემოება ძალაუნებლიეთ კლასიბში აძლევს ბიუროკრატიულ თვითმპყრობელობისადმი ზიზღს და სიძულვილს; ეს იწვევს იმათს ლაჩარ და ორჭოფ პოლიტიკას, ეს არიგებს მათ მეფობის პრინციპთან; აქ იღებს სათავეს პეტრე სტრუვეს და კომპ. „რეალური პოლიტიკა“. ეკონომიურათ ღონიერ კლასებს (სხვილი და საშუალო ბურჟუაზია) არამც თუ არ შეუძლიანთ თავ-გამოდებით იბრძოლონ სრულ დემოკრატიის, სრულ პოლიტიკურ თანასწორობისათვის, პირიქით, ისინი უნდა ცდილობდენ—და აკი ცდილობენ კიდეც—რაც შეიძლება მეტათ შეკვეცონ მუშათა უფლებები, თავისთვის კი იურიდიული გარანტიები აიშენონ ზედმოსეულ პროლეტარიატის მოსაგერებლათ. (ბურჟუაზიის ასეთი გარანტიებია მონარქია, ზედა პალატა თუ სახელმწიფო საბჭო, შეზღუდული საარჩევნო უფლება და სხ.)

სამაგიეროთ პროლეტარიატი ვერ შეურიგდება ვერავითარ უფლებრივ შეზღუდვას; იგი ისწრაფვის სრულ პოლიტიკურ თანასწორობისაკენ, ეკონომიურ თანასწორობის განსახორციელებლათ. იმისი კლასობრივი არსება განხორციელებული თანასწორობაა, აი ამიტომ პროლეტარიატი დღევანდელი რევოლიუციის მესვეური რაზმია. მასთან ხელიხელ ჩაკიდებულია ხალხი. მათ შორის ინტერესთა თანხმობაა. პროლეტარიატის ბრძოლას უკავშირებს თავის ბედ-იღბალს და სრულიად სამართლიანათაც, წვრილი ბურჟუაზია, გლეხობა და ქალაქების „წვრილი ხალხი“. ყოველი კუდმოკვეცილი კონსტიტუცია, უფლებათა ყოველივე შეზღუდვა დაუყოვნებლივ თუ არა საბოლოო ანგარიშით მაინც უსათუოდ ავნებდა იმათ. ამიტომ ესენიც დაინტერესებულნი არიან განხორციელდეს ნამდვილი დემოკრატიული წესწყობილება.

ამრიგათ, ყველა კლასები ერთათ ებრძვიან პოლიტიკურ მონობას, მაგრა, თანახმათ სხვადასხვა კლასობრივ ინტერესების, დაყოფილნი არიან სხვადასხვა ბანაკებათ თავისუფლების განხორციელების საქმეში. სხვადასხვა სოციალურ წრეებსა და კლასთა შორის ატეხილი ბრძოლა დუმის გარშემო და დუმის გამო, საუკეთესო სკოლაა ხალხის პოლიტიკურათ გასაცნობიერებლათ; იგი ზრდის და აფოლადებს პროლეტარიატის ენერგიას და მას უერთებს ქვეყნის ყველა ნამდვილ რევოლიუციონურ ძალებს...

---

### დუმა და ხალხი

მთავრობას იმედები გაუცრუვდა. დუმა არც ისე ხულიგანური გამოდგა, როგორც მას ეგონა, პირიქით დუმა ოპოზიციონურია და შეიძლება მალე აშკარა რევოლიუციონურ გზასაც კი დაადგეს. ამის თავდებია ერთი მხრით სოციალდემოკრატიული ფრაქცია, რომელსაც მრავალრიცხოვანი პროლეტარიატი არტყია გარს, მეორე მხრით რუსეთის გლეხობა. გლეხობას მართალია დღესაც დიდი იმედი აქვს მეფის და მისი მინისტრების, მაგრამ ეს იმედი დღეს გაცილებით უფრო სუსტია, ვინემ წინათ იყო: გზა-დაბნეულმა მთავრობამ იმდენი ძალ-მომრეობა იხმარა გლეხებზე, რომ ამ უკანასკნელებს ძალა-უნებურათ თვალები აეხილათ. თუ წინათ მთავრობაზე დიდ იმედებს ამყარებდენ, დღეს უმთავრესათ დუმისგან მოელიან ხსნას, განსაკუთრებით დუმის მშრომელ ჯგუფისაგან. გლეხების სიმპატია თანდათან ამ ჯგუფისკენ გადადის. ამას წინათ ჰელსინგფორსში გლეხთა დელეგატებს კრება ქონიათ. როცა დაბრუნებულან, დუმაში „შეუვლიათ“ პირდაპირ ქალამნებით და კეტებით. პოლიციის მოუნდომებია რამდენიმე კაცის დატუსაღება, მაგრამ ვერ გაუბედნია. გლეხ დელეგატებში ბევრი პროფესიონალური აგიტატორი ყოფილა. გლეხები თურმე „პრიგოვორებს“ადგენენ, რომ ქალაქებიდან მოიწვიონ პრაპაგანდისტები. ასეთ პრაპაგანდისტებს დიდის სიფრთხილით ეკიდებიან. აღსანიშნავია ისიც, რომ გლეხები არა მარტო მთავრობის აგენტებისადმი კარგავენ ნდობას, არამედ მღვდლებისადმიც. მოვიყვანთ ერთ მაგალითს: რიაზანის გუბერნიის დეპუტატ თავად [illegible]კონსკის გლეხებმა წინადადება მისცეს, გინდა თუ არა „მშრომელთა ჯგუფში“ ჩაეწერეო.

ელეცის პოლკის სალდათები (500 კაცი) პროტესტს აცხადებენ პოლტავის სოციალ-დემოკრატიულ გაზეთის „კოლოკოლის“ დახურვის გამო, რადგან ეს გაზეთი მათ დაბეჩავებულ ჯარის კაცთა დამცველათ მიაჩნიათ და მუშა-დეპუტატებს ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლებას სთხოვენ.

სადგ. ბოგოტოლის (სიბირის რკინის გზა) მუშები სალამს უძღვნიან მუშათა დეპუტატებს, განსაკუთრებით კავკასიელ ს.-დ. დეპუტატებს და მოუწოდებენ სხვა მუშა დეპუტატებს შევიდენ სოც.-დ. ფრაქციაში. ასევე იქცევიან მუშები სხვაგანაც, ასე რომ მუშა დეპუტატებს აუარებელი დეპეშები მოსდით, სადაც მათ ამხნევებენ და აღთქმას აძლევენ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ვიბრძოლებთო. ამავე შინაარსის ტელეგრამებს უგზავნიან დუმის ს. დ. ფრაქციას და მშრომელთა ჯგუფს მოქალაქენიც. ისინი აღიარებენ, რომ მუშათა და მშრომელი ჯგუფები ყველაზე უფრო თავგამოდებულათ იბრძვიან თავისუფლებისათვის.

---

## ახალი ამბები

✦ გუშინ ჩვენ რედაქციაში შემოვიდა შარაძის სტამბაში (ქუთათელაძის) მომუშავე ახალგაზდა ყმაწვილი ქსანაშვილი. **ქსანაშვილს ცხვირი რამდენიმე ადგილას დასერილი ქონდა.** ჩვენ ძალიან გაგვაკვირა ამ სანახაობამ და როცა შევეკითხეთ, შემდეგი გვიამბო: „აუტანელ პირობების გამო შარაძის სტამბის მომუშავენი გავიფიცეთ. (ეს ჩვენ გაზეთშიც გვქონდა გუშინ მოხსენებული). ყველამ თავი გავანებეთ მუშაობას, მხოლოდ გამოგვიჩნდა ერთი მოღალატე ისიდორე კერსელიძე, რომელიც ჩუმათ დაძვრებოდა სტამბაში და მუშაობდა. მე მივედი გუშინ და მინდოდა გამომეგდო სტამბიდან კერსელიძე, მან ჩხუბი ამიტეხა. ამ დროს მომვარდა შარაძის ამხანაგი სპირდონ ლოსაბერიძე, ჯერ მუშტები დამიშინა, შემდეგ დამიშინა სადგისი, დამიჭირა და ნელ-ნელა დამიწყო ჩხვლეტა: ცხვირზე რამდენიმე ხაზი გამავლო, შემდეგ თვალის ქვემოთ და თან გაიძახოდა, არც დაგაკმაყოფილებთ და არც სამუშაოდან დაგითხოვთო. შემდეგ, როგორც იქნა, დავუსხლტი ხელიდან და გამოვიქეციო“. ყველაფერს საზიზღრობას წარმოვიდგენდით ხაზეიჩებისგან, მაგრამ თუ ასეთ ინკვიზიტორობას გამოიჩენდა რომელიმე და გაბედავდა აღარ გვეგონა.

✦ 26 ივნისს, საღამოს რვის ნახევარ საათზე, ვაგზლის ქუჩაზე ვიღაც უცნობმა რევოლვერის სამი ტყვიით **სასიკვდილოთ დასჭრა** ამას წინათ ხაშურიდან თფილისში გადმოყვანილი **ჟანდარმთა უნტერ-ოფიცერი პეტრენკო.** უცნობი მიიმალა.

✦ ხმოსანმა დოლუხანოვმა თფილისის ქალაქის საბჭოში განცხადება შეიტანა, რომელშიაც ნათლათაა აწერილი, თუ რა მდგომარეობაში იმყოფება თფილისის გენერალ-გუბერნატორის წყალობით **ადგილობრივი პროგრესიული პრესა.** დღემდე სულ 37 გაზეთი დაიხურა და 3 **სტამბა დაიკეტა,** თითქოს „მავნე მიმართულებისათვის“, თუმცა ყველასათვის ცხადია, რომ სტამბას არავითარი განსაკუთრებული მიმართულება არ შეუძლია ქონდეს, რაც სხვათა შორის იმითაც მტკიცდება, რომ „გუტენბერგის“ სტამბაში სამი ერთი-მეორის მოწინააღმდეგე მიმართულების გაზეთები იბეჭდებოდა („გოლოს კავკაზა“, „კაიწი“ და „გვოზდი“). ამას შემდეგ ხმოსანი დოლუხანოვი დაწვრილებით არჩევს გენერალ-გუბერნატორის მოქმედებას, როგორც სახელმწიფოებრიობისა და წესიერების დასაცველათ „ზომების“ მიმღებისას. ამ მხრივაც იგი ხედავს, რომ მხოლოდ მთავრობისგან დევნილი პრესა იცავს სახელმწიფო და საზოგადო წესიერებას და არა გენერალ-გუბერნატორი. ქალაქის საბჭოს მოვალეობაა არ იყოს მუნჯი მოწამე თანამედროვე პრესის [illegible] დევნისა. საბჭომ მით უმეტეს უნდა აღიმაღლოს [illegible] ამ მოვლენის წინააღმდეგ, რომ მის კომპეტენციაში შედის საზოგადო წესიერებისა და მოქალაქეთა განათლების საქმე.

✦ **თფილისის ქალაქის სულით-ავათმყოფთა ცენტრალურ საავათმყოფოს და მის განყოფილებათა მოსამსახურენი,** ახსენებენ რა ქალაქის თვითმართველობას, რომ მათ ჯერ კიდევ შარშან აპრილში ჯამაგირების მომატება და საზაფხულო და საზამთრო ტანისამოსის მოცემა ითხოვეს, უცხადებენ, რომ დღემდე ისინი ვერ ეღირსენ ვერც ერთს და ვერც მეორეს, მაშინ, როდესაც ქალაქის გამგეობის სხვა მოსამსახურენი ტანისამოსსაც ღებულობენ და ჯამაგირიც ემატებათ, და ეს მიუხედავათ იმისა, რომ სულით ავათმყოფთა სამკურნალოს მოსამსახურეთა სამსახური გაცილებით უფრო სამძიმოა. და ამის გამო ეს უკანასკნელნი შუამდგომლობენ, რომ თვითეულ მოსამსახურეს ეძლეოდეს ჯამაგირი თვეში არა ნაკლებ 30 მანეთისა და აგრეთვე ტანისამოსი.

✦ **უსაქმოთ დარჩენილთა საბჭოში გაირჩა 90 კაცის საქმე,** რომელნიც არმავირიდან თავის ქარხანაში სამუშაოთ გამოუწერია ბარონ კუჩენბახს. გამოწერის დროს ბარონი კუჩენბახი შეპირებია მუშებს დღეში 80 კაპ. ეძლია, მაგრამ მუშები რომ მისულან, 50 კაპ. შეუძლევია. მუშები, რასაკვირველია, არ დათანხმებულან. ამის გამო სამაზრო ადმინისტრაციას 20 მათგანი დაუპატიმრებია, სხვები კი უსაქმოთ დარჩენილან თფილისში. უსაქმოთ დარჩენილთა საბჭომ განიხილა ეს საქმე და დაადგინა იშუამდგომლოს ქალაქის თვითმართველობის წინაშე მიეცეთ მათ უფასოთ ბინა და საზრდო, აგრეთვე ფული სამშობლოში წასასვლელი. ვინც აქ დარჩენას ისურვებს, იმათ ქალაქის სამუშაო მიეცემათ.

✦ თფილისის გენერალ-გუბერნატორმა თხოვა ქალაქის თავის მოადგილეს აცნობოს ხოლმე ყოველთვის საბჭოს მიერ განსახილველ საგნების პროგრამა, რადგან ამა-თუ იმ საკითხის შესახებ ჩემგან რაიმე განკარგულების მოხდენა იქნება საჭიროო.

✦ ქართლ-კახეთის **სამღვდელოების რწმუნებულთა კრებამ** 18 თიბათვეს დაა-

დგინა: რადგან აუცილებლათ საჭიროა საექსარხოსოს დაბალ და საშუალო სკოლის ძირითადი რეფორმა თანამედროვე ცხოვრების მოთხოვნილებათა თანახმათ ისე კი, რომ ყველა კლასებში საგნები სამშობლო ენაზე ისწავლებოდეს, ხოლო რუსულს ენასაც ჯეროვანი ადგილი ეჭიროს. ხსენებულ საკითხის დაწვრილებითი შემუშავება მიენდოს მღვდელთ—კალ. ცინცაძისა, გ. გამრეკელისა, კერნელი კეკელიძისა, ქრისტეფ. კეკელიძისა და ქრისტეფ. ციცქიშვილისაგან და მასწავლებელთ—ილია ფერაძისა, ანტ. ნატროშვილისა და ს. გორგიძისაგან შემდგარ კომისიას. მიეცეს ამ კომისიას ნება მიიწვიონ მონაწილეობის მისაღებათ სკოლის საქმის მცოდნე პირები; კომისიამ თავისი მოხსენება ჩვენებური სკოლის რეფორმის შესახებ უნდა წარუდგინოს რწმუნებულთა მომავალ კრებას. ეს დადგენილება მღვდელ-მთავარმა პეტრემ უკვე დაამტკიცა.

✦ **ქართველი ეპისკოპოსი**. ამ დღეებში უწმიდესმა სინოდმა სინოდალურ კანტორაში ექსარხოსის სახელზე ქაღალდი გამოგზავნა, რომლითაც სთხოვენ დაწვრილებით შეატყობინონ, თუ ვინ მისცა მღ. იონა ბრიხნიჩევს გაზეთ „ვსტან სპიაშჩი“-ს გამოცემის ნება და მიიღო თუ არა ადგილობრივმა სასულიერო მთავრობამ ამ გაზეთის „მავნე“ მიმართულების საწინააღმდეგოთ რაიმე ზომები. ეს ქაღალდი 16 ივნისის თარიღითაა გამოგზავნილი. ამის საპასუხოთ ექსარხოსის მოადგილეს ეპისკოპოს პეტრეს უქვეშევრდომილესი რაპორტი შეუდგენია, სადაც სხვათა შორის შემდეგი ფაქტებია აღნიშნული: 12 მაისს ეპისკოპოსს პეტრეს მღვ. ბრიხნიჩევი მასთან „მოსალაპარაკებლათ“ დაუბარებია და რჩევა მიუცია მთავრობის საწინააღმდეგო ამბების წერას თავი მიანებეო. გასულა დრო და ქამი და გაზეთ „ვსტან სპიაშჩი“-ს და მღვ. ბრიხნიჩევს თავისი არ მოუშლიათ. ეპისკოპოს პეტრეს 16 ივნისს ხელახლა დაუბარებია მღ. ბრიხნიჩევი და მუქარა დაუწყია, მღვდელ-მოქმედებას აღგიკრძალავ, თუ არ შეგიწყვეტია „შენებური“ მოღვაწეობაო. ამის შემდეგ, როგორც რაპორტი გადმოგვცემს, მღვდ. ბრიხნიჩევიც გადაასახლესო. სინოდის შეკითხვაზე, ვინ დართო ნება ბრიხნიჩევს გაზეთის გამოცემისაო, რაპორტში სწერია, ეს ნება სამოქალაქო ადმინისტრაციამ დართოვო.

✦ თანახმათ რკინის გზის უფროსის განცხადებისა, თფილისის დეპოს მემან[illegible] და მათი თანაშემწენი 26 [illegible] თვეს, დილის ათ საათზე [illegible]ცხადდენ დეპოში. აქ რამ[illegible]იმე ამხანაგების მოთხოვნით გამართეს კრება, რომელზედაც **უკმაყოფილება გამოუცხადეს** იმათ, ვინც საერთო დადგენილებას უღალატა და გაფიცვის დროს სამუშიერათ გავიდა. ამათაც თავის მხრივ, ბოდიში მოიხადეს და პატიება სთხოვეს ამხანაგებს. გაუსამართლებელი დარჩა კიდევ რამდენიმე კაცი, რისთვისაც კრებამ აირჩია კომისია (ხუთი კაცი), რომელსაც დაავალა მათი დანაშაულობის გამორკვევა.

✦ ჩვენ შევიტყეთ შემდეგი; გორის მაზრის ს. უჯარმაში, 22 ივნის ღამით 16 **შეიარაღებული კაცი თავს დასხმია** ს. დემოკრატიულ პარტიის სახელით ამ სოფლის მცხოვრებ ქურთიშვილს და მისთვის ფული მოუთხოვიათ. ქურთიშვილს მარტო 64 მ. ქონია, მაგრამ მტაცებლები ამას არ დაჯერებულან. ქურთიშვილს მეზობლისგან კიდევ ექვსი მანეთი უსესხებია და 70 მანეთით თავი დაუხწევია „სტუმრებისთვის“, რომელნიც ამის შემდეგ გზას გასდგომიან. მეორე დღეს, 23 ივნისს, სოფლის ყრილობას აღმოუჩენია, რომ ესენი შანტაჟისტები ყოფილან. ექვსი მათგანი დაუჭერიათ.

✦ გორის მცხოვრებთ, როგორც გადმოგვცეს, **საჩივარი** გამოუგზავნიათ კავკასიის ნამესტნიკისათვის ადგილობრივ მაზრის უფროს **კაპიტან ლეონტიევზე**. ლეონტიევი ჯარიმას ახდევინებს თურმე მცხოვრებთ, ხოლო შესაფერ კვიტანციებს რაღაც მოსაზრებით არ აძლევს. მომჩივნები თხოულობენ ფულები უკან დაუბრუნდეთ.

✦ ხვალ, ხუთშაბათს, 29 ივნისს ქალაქის საბჭოს დარბაზში ალ. ხატისოვი წაიკითხავს საქველმოქმედო მიზნით ლექციას ამ თემაზე: „პროფესიონალური კავშირები და მათი მნიშვნელობა“. ბილეთების ფასი ქანდარაზე 20 კაპ., ქვევით—50 კაპ.

✦ მკითხველებმა იციან, რომ გენერალ-გუბერნატორმა თფილისის ვაჭრები და მრეწველები დააჯარიმა. უკანასკნელი ვადა ჯარიმის გადახდისა, დღეს, 28 ივნისს არის. ვაჭრებსა და მრეწველებს, როგორც გავიგეთ, გადაუწყვეტიათ შეუძლებლობისა და ვაჭრობის მოკლების გამო, ფულები არ შეიტანონ; თუ რომელიმე მაღაზია-სავაჭრო დაიკეტა გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით, ყველგან **ვაჭრობის აღკვეთას მოისურვებენ.**

✦ ობლები და ნათესავები მღვდელ სიმონ ხახუტოვისა მადლობას უცხადებენ სოფ. ლამისყანის მცხოვრებლებს, რომლებმაც იპოვეს ტყეში და **მიწას მიაბარეს** სიმონ ხახუტოვის გვამი.

✦ დეკემბრის არეულობის დროს, როდესაც სამუშაოდან შინ ბრუნდებოდა კაზაკები დაუხვდენ და **გალახეს** მოსარეცხე ქალი ათანაიშვილისა, რომელიც ამის შემდეგ ავათ გახდა და გარდაიცვალა. ჩვენ გვთხოვენ საზოგადოების ყურადღება მივაქციოთ გარდაცვალებულის ქალიშვილის უნუგეშო მდგომარეობას, რომელიც [illegible] რიალურ დახმარებას ითხოვს. ადრესი; მადათოვის ქუჩა, სახლი № 17, ეკატერინე ანანიაშვილი.

✦ როგორც ჩვენ გაზეთში გვქონდა გამოცხადებული, 19 ივნისს დატუსაღებული წიგნებით მოვაჭრე ვ. გადილია გაანთავისუფლეს და მაღაზიაც გახსნეს. წიგნების მყიდველებს შეუძლიათ ისევ მიმართონ მაღაზიაში.

✦ როგორც გაზ. „შ.“-ს ავირიდიდან დეპეშით ატყობინებენ, 24 ივნისს **ხარაგოულში** მოუკლავთ იქაურ ცნობილი „სტრაჟნიკი“ პარმენ კიკნაძე. მკვლელი მიმალულა.

✦ მოგვივიდა ჟურნალ „ნაკადულის“ ივნისის ნომერი—მოზრდილთათვის.

## პარტიის ცხოვრებიდან

წესდების პროექტი ქუთაისის ორგანიზაციის რ. ს. დ. მ. პ.

§ 1. პარტიის წევრები ქუთაისში შეადგენენ ერთათ ქუთაისის ს. დ. მუშათა ორგანიზაციას.

§ 2. ორგანიზაციის ყოველი წევრი მოვალეა დაემორჩილოს, როგორც პარტიის ყოველ დადგენილებას, ისე ადგილობრივ ორგანიზაციის უმეტესობას; მოვალეა აგრეთვე მოიზიდოს ახალი წევრები სოციალ-დემოკრატიული აზრების გავრცელებით და საერთოთ იმოქმედოს ისე, როგორც ამას მოითხოვს პარტიის ინტერესები.

§ 3. ძირითად ორგანიზაციათ ითვლება ცეხი, შემდგარი პარტიის წევრებისაგან.

§ 4. ცეხმა თავიანთ შორის უნდა აირჩიოს აღმასრულებელი ბიურო და წარმომადგენლები რაიონულ ორგანიზაციაში ოც კაცზე—ერთი.

შენიშვნა: ცეხის ბიუროს მოვალეობაა: ა) მოკრიბოს ფული თავის ამრჩევლებსა და თანამგრძნობლებში, მოაწყოს თავისი ამრჩევლების კრებები, მოსძებნოს ბინა კრების გასამართავათ და სხვ.

თავის ამრჩევლებს მიაწოდოს ყოველგვარი პარტიული ლიტერატურა და გაავრცელოს მათში ეს ლიტერატურა.

ბ) წარმომადგენლის მოვალეობაა გადაიტანოს ამომრჩევლებში ყველა პარტიული პოლიტიკური კითხვები.

§ 5. ცეხის ორგანიზაცია იკრიბება კვირაში ერთხელ მაინც. არაჩვეულებრივი კრებები ინიშნება ან რაიონულ ორგანიზაციის სურვილით, ან და ცეხის წევრთა ნახევრის მოთხოვნით.

შენიშვნა: თუ ცეხი მრავალრიცხოვანია სხვადასხვა მოსაზრებით მას ერთათ შეკრება არ შეუძლია, მაშინ შეიძლება ცეხი გაიყოს რამოდენიმე ჯგუფათ, თითო ჯგუფში უნდა იყოს არა ნაკლებ ოცი კაცისა.

§ 6. ცეხის ორგანიზაცია ავტონომიურათ განაგებს საქმეებს შესახებ პროპაგანდისა, აგიტაციისა და ორგანიზაციისა.

§ 7. ყველა ისეთი კითხვა, რომელიც მასის რევოლიუციონურ გამოსვლას შეეხება, წყდება მთელი ორგანიზაციისაგან.

§ 8. ადგილობრივი ორგანიზაციის ხელმძღვანელი რაიონული ორგანიზაცია, რომელიც შესდგება ცეხების მიერ არჩეულებისაგან.

§ 9. რაიონული ორგანიზაციის ყოველივე დადგენილება, თუ ის კონსპირატიული არაა, აუცილებლათ უნდა გადადიოდეს ორგანიზაციის ყველა წევრებში.

§ 10. ყოველი წინადადება წამოყენებული 50 პარტიის წევრისაგან, ან და მთელი ცეხისაგან, აუცილებლათ უნდა გადატანილ იქნეს კომიტეტის მიერ ორგანიზაციის ყველა წევრებში. ყოველ ამისთანა შემთხვევაში უმეტესობისაგან გამოთქმული აზრი ითვლება ს. დ. მუშათა დადგენილებათ.

§ 11. კოოპტაცია ისპობა. ყოველ ორგანიზაციას აქვს უფლება მოიწვიოს ამხანაგი სათათბირო ხმით.

§ 12. ყოველი ორგანიზაცია ირჩევა ექვსი[illegible] თვით.

შენიშვნა: ყოველ ორგანიზაციონულ კრებას უფლება აქვს უკან გამოიწვიოს თავისი ამორჩეული წარმომადგენელი.

§ 13. უკეთუ ამრჩეველთა უმრავლესობა უკმაყოფილოა არჩეული ორგანიზაციით, მაშინ უკანასკნელი სტოვებს თავის ალაგს.

—

**ბაქო.** თეთრი ქალაქის რაიონული ორგანიზაციის რეზოლიუციები, რომელიც შემდეგ სარაიონთა შორისო კრებამაც მიიღო.

1. საგიტაციო კრებებზე გამოსვლის შესახებ.

1) კრიტიკის და კამათის თავისუფლება ნება დართულია მხოლოდ პარტიულ კრებებზე.

2) მასსიურ საგიტაციო კრებებზე ორგანიზაცია უნდა გამოდიოდეს, როგორც ერთი რთული, ერთი ლოზუნგებით და რეზოლიუციებით.

3) ამასთან ერთათ ყველა სერიოზული კითხვები უნდა გაირჩეს პარტიულ ორგანიზაციებში და უკანასკნელთა გადაწყვეტილებით უნდა იხელმძღვანელოს აღმასრულებელმა კომიტეტმა.

4) ყველა იმ შემთხვევებში, როცა მთელმა ორგანიზაციამ ვერ მოასწრო მასსიური და საგიტაციო კრებებისათვის დირექტივების გამომუშავება, აღმასრულებელი კომ. იძლევა ლოზუნგებს და რეზოლიუციებს, რომლის გამომუშავების დროს ის ხელმძღვანელობს შემაერთებელი სიეზდის საზოგადო დირექტივებით, ამ შემთხვევაში თვითეული ორგანიზაციის წევრი უსათუოთ ემორჩილება აღმასრ. კომ. გადაწყვეტილებას.

5. განვიხილეთ რა ბიბი-ეიბათის მიტინგზე მომხდარი სამწუხარო შემთხვევა, კრება აღიარებს, რომ ამხანაგი ბ—ს საქციელი, რომელიც გამოვიდა ც. კ.-ის რეზოლიუციის წინააღმდეგ, ადგილობრივი ორგანიზაციის წინადადების მიუხედავათ,—ამხ. ბ. ღირსი არის გაკიცხვისა.

2. ცენტრალური კომიტეტის რეზოლიუციებსა და წინადადებების დამოკიდებულების შესახებ.

1) ვსცანით რა ცენტრალური კომ. მთელი პარტიის ნდობით აღჭურვილ ავტორიტეტულ დაწესებულებათ[illegible]

2) ვსცანით რა, რომ ცენტ. კომ. მინდობილი აქვს რ. ს. დ. მ. პარტიისაგან ჩვენი გამოსვლის საერთო ხელმძღვანელობა და გაერთიანება შემაერთებელი სიეზდის დადგენილებათა ცხოვრებაში გამტარებელი ნაბიჯებისა;

3) კრება სავალდებულოთ სთვლის ც. კ. რეზოლიუციების და წინადადებათა ცხოვრებაში გატარებას, თუ ის აშკარათ არ ეწინააღმდეგება შემაერთებელი სიეზდის დირექტივებს.

3. გაზეთის შესახებ.

1) ორგანიზაციის გაზეთათ შეიძლება ჩაითვალოს გაზეთი, რომელიც აღიარებს სიეზდის გადაწყვეტილებას, სდგას ამ გადაწყვეტილების თვალთახედვის ისარზე, და მართლაც შეუძლია მათი ცხოვრებაში გატარება.

2) რაც შეეხება სიეზდის გადაწყვეტილებათა კრიტიკას, ეს არ არის ორგანიზაციის გაზეთის საქმე, ეს პარტიის უმცირესობის საქმეა, რომელსაც შეუძლია დაიცოს თავისი შეხედულება კერძო სოციალდემოკრატიულ გაზეთის ფურცლებზე.

3) ორგანიზაციის გაზეთმა უნდა იმოქმედოს თანახმათ სიეზდის გადაწყვეტილებათა და ამ მიზნით რედაქცია უნდა შესდგეს სიეზდის გადაწყვეტილებათა თვალთახედვის ისარზე მდგომ პირებისაგან.

4) რაც შეეხება ორგანიზაციის გაზეთში სხვა შეხედულების ამხანაგების მონაწილეობას, ასეთი მონაწილეობა შესაძლებელია იმდენათ, რამდენათაც ის ხდება სიეზდის გადაწყვეტილებათა თანახმათ.

5) ვინაიდან ყველა ამ პირობებს აკმაყოფილებს ადგილობრივ ორ სოციალდემოკრატიულ გაზეთებს შორის, გაზეთი „ტრუდოვაია ჟიზნ“-ი, ამიტომ გამოცხადებულ იქნას ის ორგანიზაციის გაზეთათ.

6) მოვთხოვთ „პრიზივ“-ს და „ტრ. ჟ.“ ერიდონ პოლემიკას, არ შეიტანონ იმაში (პოლემიკაში) გამწვავება და საზოგადოთ არ გაალვივონ ფრაქციული სული.

—

**გურია.** კავკასიის ბიუროს ოზურგეთის რაიონული ორგანიზაცია მოითხოვს, დაუყოვნებლივ მოწვეულ იქნას კავკასიის სიეზდი პარტიული მუშაობის გასაერთიანებლათ და დუმის კამპანიის საუკეთესოთ გასატარებლათ.

ოზურგეთის რაიონული ორგანიზაცია რ. ს. დ. მ. პ.

ამავე ბიუროს მოუვიდა შემდეგი დადგენილება:

„ვიღებთ რა მხედველობაში თანამედროვე პოლიტიკურ მდგომარეობას, ჩოხატაურის რაიონული კოლექტივი პროტესტს აცხადებს სიეზდის გადადებისათვის და მოითხოვს დაუყოვნებლივ მოწვეულ იქნას კავ. სიეზდი პარტიაში მუშაობის გასაერთიანებლათ და იმ კითხვების განსახილველათ, რომელიც პარტიას უდგას წინ.

ჩოხ. რაიონ. ორგ. რ. ს. დ. მ. პ.

## პროვინცია.

**სადგური მიხაილოვი,** 22 ივნისი. არც მიხაილოვის მოსამსახურეები ჩამორჩნენ თფილისელ ამხანაგებს. გაიგეს თუ არა თფილისში გაიფიცნო, აქაც გაფიცვა გამოცხადდა. 11 საათი იქნებოდა, რომ შეწყდა მუშაობა დეპოში, შეჩერდა მანევრის მანქანები, დაიკეტა მთელი აქაური დუქნები და უცბათ სამარისებურ სიჩუმეს მიეცა მთელი მიხაილოვი. დატრიალდა სადგურის უფროსი ალბერტი, უნდოდა სტრელოჩნიკები და სსტავიტლები სამსახურში გაეყვანა, სამსახურიდან დათხოვნით და სხვა მუქარებით ცდილობდა შეეშინებია, მაგრამ ვერას გახდა. ამ დროს ერთმა იქ დამსწრეთაგანმა, როგორც გავიგე მეკანტორე დარასელიამ, სადგურისს უფროსს მიმართა შემდეგი სიტყვებით: რა საჭიროა თითოეულ მოსამსახურეს გთხოვთ რაზე გაიფიცენ; ეს ყველამ იცის, რომ დღეს მინგრელსკი პოლკის 27 სალდათს ასამართლებენ, რომელთაც სიკვდილით დასჯა მოე-

## ფელეტონი

—:—

ა მ ო ძ ა ხ ი ლ ი

—

კვლავ ხმები მებრძოლ გმირების!
კვლავ საამური ყიჟინა!..
გული სიამით აივსო,
იმედის შუქმა მოჰფინა.

—

ვიცი, რომ მალე ატყდება
საერთო ბრძოლის ქუხილი,
და ლხინათ შეიცვლებიან
ხალხის გლოვა და წუხილი!..

—

ალიმართება მტრის თავზე
ჩაგრულთ მარჯვენა, მაშვრალი,
გვეყო ამდენი ლოდინი,
აივსო თმენის ფიალი!..

—

მალე, სულ მალე, გმირები
პირქვე დასცემენ ჯალათსა,
გამოლტვენ, შემოახვევენ
ტანთ სისხლში ნათითხ ხალათსა;

—

მილეწ-მოლეწენ „სისხლის ტახტს“,
მოფამფალებულს, მორყეულს,
და ფეხთა მტვერათ აქცევენ
მტერს, დღეს ძალ-მოცულს, მორეულს!..

—

და კვლავ მოისმის გმირთა ხმა,
კვლავ საამური ყიჟინა,
გულს შევბის ტალღა მოაწვა,
იმედის შუქმა მოჰფინა!..

—

ერიამულდა მთა-ბარი,
დღე საქორწილო თენდება,
და მტარვალობის ნანგრევზე
სახალხო საქმე შენდება!..

ნ. ზომლეთელი.

### მარქსიზმი თუ ბლანკიზმი?

II

წინა წერილში ჩვენ დავინახეთ, რომ „ბოლშევიკებმა“ ჩვენს პარტიაში ბლანკისტური ტაქტიკა გადმოიტანეს და მით მუშათა პარტიას იაკობინურ დემოკრატიისაკენ მიერეკებიან. ჩვენი ვალია მათი ტაქტიკა სავსებით უარვყოთ და მარქსისტულით ვიხელმძღვანელოთ.

როგორია ჩვენი ტაქტიკა?

„ბოლშევიკები“ გაიძახიან, რომ პროლეტარიატი და გლეხკაცობა შეიარაღებულ აჯანყებას ელტვიან. მართალია თუ არა ეს? სავსებით მართალია ის, რომ ხალხი გრძნობს არსებულ სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობის აუტანლობას და უკეთეს მომავლისაკენ მიისწრაფვის. ამიტომაც არის, რომ უკანასკნელ დროს ასე გახშირდა „ბუნტი“ გლეხობასა და სალდათებ შორის. მართლაც, გლეხები კაფვენ ხაზინისა და მემამულეთა ტყეებს, ანგრევენ ეკონომიებს, იტაცებენ პურს, იყოფენ და ხნავენ ადგილ-მამულებს, ერთი სიტყვით, მემამულეთა წინააღმდეგ აშკარა აჯანყების გზას დაადგენ. მართალია ისიც, რომ სალდათებში ფართე მოძრაობაა, რომ ყაზარმულ ცხოვრებას ველარ იტანენ და ხშირათ აჯანყებას ახდენენ. ამის მიუხედავათ სავსებით შემცდარია ის აზრი, ვითომც გლეხკაცობა და სალდათები შეიძლება აჯანყებისკენ მიისწრაფოდენ. საქმე იმაშია, რომ მასა გრძნობს მდგომარეობის აუტანლობის, მას არ აქვს გარკვეული სოციალურ-პოლიტიკური მიზანი და საშუალება მის განსახორციელებლათ. ამიტომაც არის, რომ ის ხან რევოლიუციას ეკედლება, ხან რეაქციის კალთებს აფარებს თავს. ხალხის ფართო მასის აშკარა პოლიტიკურ ასპარეზზე გამოყვანა და ამ მიზნით მასში შეგნების შეტანა, აი სოციალდემოკრატიის მთავარი საგანი.

ამ მიზნის მისაღწევათ სოციალდემოკრატია სარგებლობს ყოველნაირი სოციალურ-პოლიტიკური ვითარებით, არკვევს მას პროლეტარიატის ინტერესთა მიხედვით და მით იერთებს პროლეტარიატისა და ნახევრათ პროლეტარიატის მასას. ასეთია სოციალდემოკრატიული ტაქტიკა.

„ბოლშევიკები“ ამბობენ, რომ სავსებით ემხრობიან ასეთ ტაქტიკას ჩვეულებრივ დროს, მარა რევოლიუციონურ მომენტში ეს ტაქტიკა ნაკლებ რევოლიუციონურია და ამიტომაც წმინდა „რევოლიუციონური“ ტაქტიკა უნდა ვაწარმოვოთ, ამ მიზნით მებრძოლ რაზმთა შეიარაღება—გაწვრთნა—აი რას უნდა მიექცეს უპირველესი ყურადღებაო.

მართალია თუ არა ეს?

გამარჯვებისთვის აუცილებლათ საჭიროა რევოლიუციას ხალხის დიდი უმრავლესობა ემხრობოდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში ხალხის მოწინავე ჯგუფები, როგორც უნდა იყვნენ ისინი შეიარაღებული და გაწრთვნილი, უთუოთ დამარცხდებიან. ამას ცხადათ გვიმტკიცებს სხვათა შორის ბლანკისტების ბედიც. ისინი [illegible], დარწმუნებული, რომ ხალხი მათ მიემხრობოდა, მარა მოსტყუვდენ და დამარცხდენ. ასეთივე ბედი მოელის ახლანდელ რევოლიუციას, დროებით მაინც, თუ კი „ბოლშევიკური“ ტაქტიკით ვიხელმძღვანელეთ. სანამ ხალხის ფართო მასას არ შეუგნია რევოლიუციის მიზანი და გზა, შეიარაღებული აჯანყება ხალხის საკეთილდღეოთ ვერ დამთავრდება და რომც დროებით რევოლიუციონურმა ჯგუფებმა და პარტიებმა ხელთ იგდონ სახელმწიფო ძალა, მრისხანე კონტრ-რევოლიუცია მათ წალეკს და უკუგდებულ რეჟიმს კვლავ ამა თუ იმ სახით აღადგენს.

ამიტომ ხალხის ფართე მასის მომხრობა ყოველთვის და უპირველესათ რევოლიუციონურ მომენტში—აი რა ტაქტიკა უნდა აწარმოვოს სოციალდემოკრატიამ, რომ რევოლიუცია თავის ლოღიკურ დასკვნამდის—დემოკრატიულ რესპუბლიკამდის მიიყვანოს და ამ მიზნისთვის ბრძოლის დროს თავისი პარტია გააფართოვოს და გააძლიეროს.

რით შეიძლება ეს?

რევოლიუციის გაღრმავება, ეს მშრომელი ხალხის ფართო მასის კლასიური შეგნების გაფართოებაა. ყველა ის, რაც ხელს უწყობს ამას, ჩვენთვის ხელსაყრელია და პირიქით. ასეთი საშუალება ხალხის წარმომადგენლობითი დაწესებულებებში მონაწილეობაა. იქ თავმოყრილია სხვადასხვა კლასის წარმომადგენელნი და ამიტომ ასეთი დაწესებულება კლასიური ბრძოლის აშკარა ასპარეზია. ამიტომაც იყო ჩვენ მომხრე ვიყავით „დუმაში“ მონაწილეობისა.

რას მოგვცემს „დუმა?“

„დუმა“ პარლამენტი არაა, — გაიძახიან „ბოლშევიკები“, და ეს სავსებით მართალია. ამიტომ ისინი მას გაურბიან, ჩვენ კი სწორედ ამიტომ მასში მონაწილეობას უფრო ველტვით იმ მიზნით, რომ რევოლიუციის იარაღათ გამოვიყენოთ. საქმე იმაშია, რომ დღეს „დუმა“ მხოლოდ საგიტაციო ტრიბუნაა, იქ ჩვეულებრივ მშვიდობიან კანონმდებლობით მუშაობას ჯერ ადგილი არ აქვს. რევოლიუცია სუსტია ხალხის ფართო მასის შეუგნებლობით და აი „დუმა“ ამ ნაკლის თავიდან ასაცილებელი საუკეთესო იარაღია. მას შესცქერის მთელი ხალხი, და ყველა ის, რასაც „დუმაში“ ამბობენ ხალხის მასას ეფინება და მით მისი შეგნება მატულობს. „დუმა“ თხოულობს მიწას გლეხებისთვის, თავისუფლებას მთელი ერისთვის, ამნისტიას მებრძოლთათვის, ბიუროკრატიულ სამინისტროს გადაყენებას და მის (დუმის) ნდობით აღჭურვილ სამინისტროს შედგენას, და ხალხიც იგნებს, რომ მიწა და თავისუფლება, ამნისტია და ხალხის წარმომადგენელთა ნდობით აღჭურვილი მთავრობა, ყველა ეს ერთი მეორეზე გადაჯაჭულია, რომ ერთი უმეოროთ შეუძლებელია. ამავე დროს ჩვენი სოციალდემოკრატიული ფრაქცია აშკარავებს „დუმაში“ ბურჟუაზიული დემოკრატიის—კადეტებისა და „შრომის ჯგუფის“ ორპირ პოლიტიკას და ამხედრებს მთელ ერს არსებულ მთავრობის გასანადგურებლათ და სრული დემოკრატიის დასამყარებლათ. ყველა ეს ხალხის ფართე მასის კლასიურ შეგნებას აფართოებს და გამარჯვების დღეს გვიახლოვებს.

ამით თქვენ „კონსტიტუციონურ“ ილიუზიებს ავრცელებთ და უმტკიცებთ ნიადაგს ხალხშიო, გვისაყვედურებენ „ბოლშევიკები“.

რუსეთში ჯერ კონსტიტუცია არ არსე-

დით. ჩვენ, ქალაქის და მახლობლების მთელი ხალხი, პროტესტს გამოხატავს სავსებით დასტურზე და აი ამიტომ გულდასმით. სადგურის უფროსი მარტო ტელეგრამით მოძრაობას დაიწყებდაო, მაგრამ ამით დაუმტკიცდება აქ მდგომა რკინის გზის როტის აფიცრებმა, მაგრამ წინააღუდგნენ, რომ ვინც მემანქანე და მათი თანაშემწე იქნება გაუგზავნიათ, ზოგი მიიმალნენ, ზოგი დაპატიმრებული ქალაქში და სხვ. ჯარისკაცების წინდაწინ გამოაცხადეს და ცემით და რევოლვერის მოდერნებით დამონებულნი, მალულად.

ამიტომაც როგორც ეთ გამართავს მემანქანენი და მისი თანაშემწე და 12 საათის მოსვლა მატარებელი № 5; საათის 3-ზე გაგზავნეს ყვირილისკენ. ყვირილიდან შემდეგი ბეჭდით ცნობა მოვიდა: აქ მდგომ რკინის გზის როტის საგუშაგოებმა მატარებლის მანქანა ახსნეს, არ უშვებენ—ვინ მიიღეთ. სადგურ მახლობლად ადგილი არ ეთ რომ მატარებელი ვერ მოვიდა, ეს ყვირილაში იცოდნენ და ალაგი უშოვნეს მაზუთი და დიდის დავიდარაბის შემდეგ მატარებელი ყვირილისკენ გაისტუმრეს. თანახმად რ. ს. დ. მ. პ. დადგენილების, დამის ბოლო საათიდან მუშაობას იწყებენ.

აქ, სადგურის გვერდით სა-თი იყო, მატარებელი № 3 „კურთხეული-ზოგადის" სტრუქტურზე, წითელი „დროშის" იქით გადავიდა, მანქანა და ორი წინა ვაგონი ლიანდაგიდან გადავარდა. არავინ დაშავებულა. ვიღაც პროვოკაციული მიზნით სტრელკა გადააწია და მშვიდობიანი ხალხი ცოტა შემოწყდა, მაგრამ მშვიდობიანად ჩაიარა. მამოსავალი შეწყვეტილა.

მიხაილოვი

—

**ტყიბული** (ქუთ. მაზრა). ტყიბული პატარა, მოძრავი და ცოცხალი დაბაა. როგორც მოგეხსენებათ, აქ არის ქვანახშირის მაღნები. ამ მაღნებში მუდმივათ მუშაობს 700—800 კაცი. თითონ დაბაში არის ნოქრებისა და ქარგლების პატარა ჯგუფი. ოქტომბრის დღეებში, როგორც სხვაგან, აქაც ხალხის ხელში იყო ყველაფერი, მაგრამ რეაქციის გამარჯვებამ ისევ ძველი წესები აღადგინა. დღეს ადგილობრივი ცხოვრება მიწყნარებულია და ადგილობრივი პოლიცია ნამდვილი ბოგდიხანის როლს ასრულებს. ხულიგნებიც ძლიერ მოქმედობენ და მათი მოქმედება ბნელით არის მოცული.

ი.—ძე

—

**ს. ბოლბის ხევი** (ქიზიყი). მარმან, როდესაც თავისუფლების სხივმა ქიზიყსაც მოაშუქა, მანამდე მმართველობა დაწყნდა. სავლებით გაძლიერებული ქიზიყში სამხედრო ქურდობა; ხოლო რეაქციის გამეფების შემდეგ, ბნელ-ძალებთან ერთად სხვის ქონებაზე მოპარვა დაიწყეს: დაიწყეს მტაცებლობა მოურიდებლად დღისით თუ ღამით. მარა ამ თავზე ხელაღებულთა მაშინ, ხალხი ხმას ვერ იღებდა. ყველაფერს დასასრული აქვს, და ამათაც ასე დაემართათ. 16 თიბათვეს, ბოლბისხეველებმა ლევანა ხოსიტაშვილს და დათა ზურაბაშვილს მოპარული ხარები დაუჭირეს, რომლებიც ბოდბური აღმოჩნდა. ქურდები ბოდბელებს გადასცეს, მარა ისინი დასჯის ნაცვლად მეორე დღესვე გაათავისუფლეს და სოფელში მობრძანდნენ უფრო დიდის რიხით და მუქარით. ამაზე მთელი ბოლბისხევი აღელდა, ამ მაგალითით დარწმუნდნენ, რომ პოლიცია ხელს უწყობს ქურდობა-ავაზაკობას და ამათ ცდილობს ვერ ერთი გაბედოს და მუშტი მთავრობის საწინააღმდეგო ამბოხებული ხალხის ძალა შეასუსტოს. ამათ გამორჩეულნი 18 თიბათვეს შეიყარნენ, მოიწვიეს ლევანა ხოსიტაშვილი, რომელიც ვირზე იჯდა, მე არ მომიპარავსო, მარა, როდესაც ვეღარ თავი შეაშვეს და დაარჩინეს დაუშვირეს; მაშინ კი გამოტყდა თავის დანაშაულზე, ამასთან დაასახელა დათა ზურაბაშვილიც ჩემი ამხანაგიაო. მაგრამ მეორე წვრილმანის სცემდა. 14 ამავე თვეს, ეს ვაჟბატონები დასცემოდნენ წინამძღვრის სოსია ტუხაშვილს და მის ეზოში შებმული ხარების წართმევა დაუპირებიათ. შემდეგ მოიყვანეს მეორე გოგოლაშვილი, რომელსაც ზედიკი გოგოლაშვილის გაზები დაუჭრა. დიდი ჯარის შემდეგ, როდესაც მათრახით ბედრებმა დაუზილეს და მოაბეს კისერზე თოკი დასახრჩობათ, იკივლა: ნუ დამახრჩობთ, მიპატიეთ, მე დაგიწერთ. დანარჩენი ქურდების საქმე შემდეგისათვის გადადეს.

**ქვემო რაჭა.** რამდენათაც ძლიერი იყო რაჭაში განმათავისუფლებელი მოძრაობა, იმდენათ ძლიერი იყო რეაქცია. დღეს კი მთელ რუსეთთან ერთად რაჭაც იღვიძებს და ადმინისტრაციისგან მიყენებული შავი დღეები თითქო სიზმარში ეჩვენება, დაიწყების მიეცა. ეს მწარე გამოცდილება უფრო შეგნებული მოქმედებისკენ ეწევა მათ. დიდის ამბით ებებოდნენ ქუთაისიდან ჩამოსულ მოამბეებს. ხულიგნების ძლიერ ემუქრებიან. ამ „მოღვაწეობის" ეშმაკს ნაწილათ თავად-აზნაურები და მღვდლები ეკუთვნიან. 14 ამ თვეს მღვდელ გელდ. ფოთუხაძის მეოხებით დაიჭირეს თვითონ კურდიანი და ეხლა ონის ციხეშია. მიკვირს, რატომ ვერ ხედავენ, ან გრძნობენ ეს ბნელი ძალები, რომ მათი აღსასრულის დღეები მოსულია.

**თილანელი.**

—

**დ. ონჭეირი.** არ ვიცი არის თუ არა რომელიმე კუთხე საქართველოში თემშირესავით ხულიგნებით მდიდარი? მთელ თემშირეზე ეს არ ითქმის, მაგრამ ამ დაბის ბურჟუებმა ბევრის გმირ ნიკოლასაც გადააჭარბეს თავისი ხულიგნური აგიტაციით. ყველას ჯერ-ჯერობით ვერ შევეხები, თუმცა საბუთები ბევრი მაქვს, რომ მათი ხულიგნური ფიზიონომია გამოვააშკარავო, რასაც არც თითონაც მალავენ.

აქ სხვათა შორის ბრძანდება ბურჟუა გაგაბატონი ფარნა დავითაია, რომელსაც პირადი ინტერესების გამო „დიდი" (როგორც თითონ დაპარაკობს) შეტაკება ქონდა თემშირის ცოფიან ბოქაულთან ბ-ნ ჩხეიძესთან (დაპირდაპირ ხულიგანთან) და რომლის დამარცხებით ბ-ნმა დავითაიამ „რევოლიუციონერის" და „საზოგადო მოღვაწის" სახელი მოიხვეჭა.

18 ამ თვეს ადგილობრივმა ამხანაგებმა განიზრახეს ჟურნალ-გაზეთების გამო, ჩამორჩენილ საზოგადოებისათვის გაემართათ დღევანდელი საჭირბოროტო კითხვები. ამისთვის ადგილობრივ ადმინისტრაციას მიმართეს, რომ ნება დაერთო შემდეგი სათაურით რეფერატის წაკითხვისა: „Политическія партіи въ Россіи и ихъ отношенія къ Госуд. Думѣ". პოლიციამ ნება დართო და ჩვენც საქმეს შევუდექით. შევატყობინეთ მეზობლებს და მოგაწვევებს. ხალხი დიდძალი მოაწყდა, განსაკუთრებით „დაბალი", მაგრამ აქ გადაგველობა ბ-ნი დავითაია. ახლა სცენაზე და დაიწყო: „ამხანაგებო, სად მიდიხართ? ვისთან მიდიხართ? ნუ თუ ჩვენ ჩვენი ჭკუა არა გვაქვს, რომ ვიღაც ბიჭბუჭს, არა სამღვდელო, უბიდურთ, დაუდეგარ-დაუდეგარ ქალაქში გამოხვეულ სოციალდემოკრატებს უსმენთ?" ეს მესიჯში... თავის დიდებულ აგიტაციის გათავების დროს, შემდეგი მარგალიტები გადმოყარა თანტოლმა: „აქ მოდით, წითელ დემოკრატიული რესპუბლიკა, 8 საათის სამუშაო დღე, მსუქანი ღვეზელი, კაი ტანისამოსი; მუშაობა საჭირო არ არის. ჰა, გინდათ, რომ მათრახებით ამოგიწყონ ზურგი? ადმინისტრაციის ცეცხლი დაგაყოფინოთ? ჰოი, ჰოი, რომ გეჩვენებით. როდის უნდა შევიგნოთ, რომ ძველი მთავრობა უკეთესია ჩვენთვის, ვინემ ვიღაც მაწანწალა „ბუნტოვშიკები"... და სხვა ამოსუნა შეგინებებიანი. ამის შემდეგ მოიდეპესანა ნოქრების სამუშაო დღის მომატებაზე, მით ტამაგოჩზე. მოუხედავათ ამისა, კრებას თავისმდე კიდე დაესწრო. სხვის, თემშირეში, ბ-ნო ფარნა, მტერ-მოყვარეს იცნობენ. თქვენც, ბურჟუებო, იცით მტერ-მოყვარე და ამისთვის ამჯობინეთ ადმინისტრაციის მათრახები. ძალიანი გულკეთილი ბრძანებულხართ ბ-ნო ფარნა! რომ გაიძულეთ თქვენ, რომელსაც თავი ქართველ პატრიოტ-ნაციონალისტ-რევოლიუციონერათ მოგაქვთ, რომ ეს ბინძური ბურჟუა-ხულიგანის დამახასიათებელი დემაგოგიური ნაბიჯი ამოგებდოთ! გიცნობთ, რა შეიძლება ბრძანდებით. საჭიროა რომ სხვებმაც გაიგონ თქვენი საქმენი საგმირონი. ბ-ნო ფარნა, შეიძლება გამომეკამათოთ ანუ სხვა რამე ზომები მიიღოთ ჩემ წინააღმდეგ და ამისთვის მე საშვალებას გაძლევთ იმით, რომ პსევდონიმს არ ამოვეფარები.

დავით ცხაკაია.

## წერილი ვოლოგდის ციხიდან

სალამი და გამარჯვება საყვარელ ამხანაგებს! თუ ჩვენს ამბავს იკითხავთ, გაიმბობთ მოკლეთ: დღემდე კეთილშობილების ბედ-იღბლის კოჭებივით მოთამაშე მთავრობა, არ კმაყოფილდება ჩვენ საშობლო მიწა-წყლიდან ამ სიშორეთ გადმოხვეწას, აქედან ციმბირის საზღვრებს ქნისის გუბერნიის მიდამოებში გვიპირებს გადასახლებას, მე და ჩემ განუშორებელ ამხანაგ ბესო დათიკაშვილს 5 წლით. მაგრამ... იმ დროს, როდესაც დღემდე უკანონო მართველობით გათელილ-გათახსირებული ხალხი ამდგარა და თავის მჩაგვრელს პირისპირ დასდგომია და შეურყეველის მრისხანებით მის დასამსხვრევ-გასანადგურებლათ აღუმართავს თავისი მძლავრი ხელი, ასეთ დროს, ხუთი წლით გადასახლების განაჩენები რა ჭკუაში მოსასვლელია. ბედმა თვითმპყრობელობას, სიცოცხლე ეკლიანა და იგნების ხუთ წლამდე დღეთა განგრძობას!.. ამიტომ, აღსრულება ჟამი შენი არსებობისა, დროა დრო, ჩამოეცალო ხალხის მართველობას გზიდან და დიდებულსა და ბრწყინვალე მომავალს დაუდგო გამარჯვება! ჩვენ გვწამს, ამხანაგებო, რომ ამ მოკლე ხანებში შევხვდებით ერთმანეთს, და დღემდე მომდგარ სვედა გარამს დავივიწყებთ საერთო ლხენა გამარჯვების ზეგავლენით. ჩვენ ამ ჟამათ მეციხოვნეთაგან ვითხოვთ ექიმთა კომისიას ავათმყოფობის შესამოწმებლათ და აქვე ვოლოგდაში დარჩენას. პასუხი ჯერ არაა და პასუხამდე მე ციხეში ვარ და ბესო საავათმყოფოში. ვარამ გ. ი. ვოლოგდაში დასტოვეს კიდე ფურცელაძე და გიორგი ფოლაძე, დანარჩენი ამხანაგები დანიშნულებისამებრ.

აქაური საზოგადოება სამაგალითოთ შეგვხვდა და თანაგრძნობით გვექცევა; უმრავლესი ამხანაგ ხაზინაშვილის სიტყვას, ხშირათ ნახულობენ და ამჟამად ყველა გვეკითხება, აქვე მართლებ მიუწვდებს და გამწყდა ბულ პროვინციების ზეგავლენით მრავალ ათასული ერთობ-ფრთიანებ თავისუფალ ბრძოლისთვის...

სანდრო.

## მუშათა შორის

—

**გაფიცულთა გამარჯვება ჭიათურაში.** გაფიცვა გათავდა მუშების სრული გამარჯვებით. დაკმაყოფილებულია ყველა მოთხოვნილებები: შემოღებულია რვა საათის სამუშაო დღე, მოისპო ნარდი მუშაობა, მუშებს მოემატა თითო აბაზი დღიური ქირა, დანიშნულ ვადაში უნდა აშენდეს ბინები, იაფ ფასიანი სასადილოები და სამკითხველოები და სხ., ერთი სიტყვით, არც ერთი მოთხოვნილება დაუკმაყოფილებელი არ დარჩენილა. სრულიად დაკმაყოფილებულია აგრეთვე ფოთისა და შორაპნის მუშების მოთხოვნილებანი. რა არის ამის მიზეზი? პირველ ყოვლისა მუშების უმაგალითო თანხმობა და სოლიდარობა; ამდენ მუშებში არავინ არ გამოსულა მოღალატე, გაფიცვის გამტეხი; ყველა სინდისიერათ იცავდა გაფიცვას; მეორეთ ისა, რომ თვით კაპიტალისტებში იჩინა თავი ღალატმა. პირველათ ისინი შეერთდნენ და გადასწყვიტეს არას შემთხვევაში არ დაუთმონ მუშებს, გარდა ნახევარ კაპიკის მომატებისა თითო ფუთ ქვაზე. წვრილ მრეწველთა კომისიის მიერ გამოანგარიშებული იყო, რომ ყველა მოთხოვნილებების სრულათ დაკმაყოფილებისთვის საჭირო იყო ფუთ ქვაზე ორი კაპიკის მომატება, ვაგონის მუშების მოთხოვნილებისთვის კი სამი მანეთი ათას ფუთ ქვაზე. როცა ეს აცნობეს ექსპორტიორებს ფოთში, იგენმა მოიწერეს, რომ ვაკმაყოფილებთ ვაგონის მუშების მოთხოვნილებებს, მადნის მუშებს კი ისევ ნახევარ კაპიკს მივუმატებთო, ამით მათ უნდოდათ ვაგონის მუშები, აგრეთვე შორაპნისა და ფოთისაც ჩამოეშორებიათ მადნის მუშებისთვის, ეტვირთათ ვაგონები უკვე ბაქანზე დაყრილი ქვით და ამგვარათ დაემარცხებინათ მუშები. რომ ვაგონების მუშები აყოლოდენ მათ, მუშების დამარცხება აუცილებელი იყო, რადგან ბაქნებზე მილიონობით ყრია დასატვირთველი ქვა. მაგრამ მატყუარა ექსპორტიორებს იმედები გაუცრუვდათ: მათმა ფულმა ვერ მოისყიდა ვაგონის მუშების გული, ვაგონის მუშებმა განაცხადეს, არ ვიმუშავებთ მანამდის, სანამ სხვა მუშებსაც არ დააკმაყოფილებთო. იმათ ამხანაგების ღალატს შიმშილი არჩიეს. მუშების ასეთმა სოლიდარობამ გააცვიფრა ექსპორტიორები, მაგრამ დათმობას მაინც არ ფიქრობდენ. ამ დროს იმათ გამოეყო რამდენიმე პირი, რომლებმაც დააკმაყოფილეს მუშათა ყველა მოთხოვნილებები და კიდეც მიიღებენ წარმოებას. გაფიცვის ბიურომაც მოუწოდა მუშებს, რომ ისინი სხვა ექსპორტიორების გასატეხათ დროებით შესდგომოდენ იმ მრეწველებთან მუშაობას, რომლებიც აკმაყოფილებდენ ყველა მოთხოვნილებებს და ქვას აბარებდენ იმ ექსპორტიორებს, რომლებმაც გაფიცულებს დაუთმეს. ამგვარათ ოც ივნისს დაიწყო მუშაობა ჭიათურაში. შემდეგ ასეთივე მორიგება მოხდა ზოგ ექსპორტიორებთან შორაპანში და ფოთშიაც. ის ექსპორტიორები, რომლებიც გაჯიუტდენ, იძულებულნი იყვნენ მალე მოედრიკათ ქედი, რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, ამ ღალატის შემდეგ ისინი უხდიდენ გემების პატრონებს და რკინის გზას დიდ ჯარიმას. ამგვარათ ყველა ექსპორტიორები გულმოკლულნი ასეთი სამარცხვინო დამარცხებით იძულებულნი იყვნენ დამორჩილებოდენ ბედს და შეეკრათ მუშებთან ზავი. ასეთი საჯარო საქმე მოუვიდათ ღიპიან კაპიტალისტებს: სხვისი ერთობის გატეხა უნდოდათ და თავიანთი ერთობა კი ვერ დაიცვეს. მუშების თანხმობამ გაამარჯვებინა მუშებს, კაპიტალისტების უთანხმოებამ დასცა კაპიტალისტები. მუშას, შიგ მტვერში გასვრილს, კონკით შემოსილ გამხდარ უსწავლელ მუშას მეტი ერთობა შესძლებია, ვინემ სპეტაკ, აბრეშუმში გამოწყობილ ნასწავლ კაპიტალისტს. ვაშა მუშებო! X.

—

**სოფლის მეთოხე მოჯამაგირე მუშები სამტრედიის რაიონში.** საზოგადოთ ყველგან და კერძოთ ჩვენში, მეთოხე მოჯამაგირეობას სოფლის უფრო ღარიბი მუშები ეწევიან. მეთოხე მოჯამაგირეთა მდგომარეობა ბევრით განსხვავდება სხვა მუშათა მდგომარეობისგან. ამათი სამუშაო დღე საათობით არ განისაზღვრება, არამედ განისაზღვრება გათენება-დაღამებით. ზაფხულის გრძელ დღეებში ისინი იძულებული არიან გათენებიდან დაღამებამდე იმუშაონ და ამისათვის ხელფასათ ეძლევათ 45 კაპეიკიდან ოთხ აბაზამდე.

როგორც მოგახსენეთ, მოჯამაგირე მუშა უფრო ღატაკ სოფლებისაგან შესდგება. იმათ ან სულ არ გააჩნიათ სამუშაო და სახნავი მიწა, ან უფლობენ ნახევარს თუ ერთ ქცევა მიწას. იმათი მინგრეულ-მონგრეული ქოხ-მახი და სახლის მორთულობა ცხად ყოფს მათ უზომო სიღარიბეს. ქალაქებში სამუშაოთ წასვლა მათ ეშინიათ, რადგან დარწმუნებული არ არიან სამუშაოს შოვნაში და ბევრს საგზაო ფულიც არ გააჩნია და აქაც საკუთარი მამულის შემწეობით ოჯახის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება ყოვლად მოუხერხებელია. ამგვარათ ისინი იძულებული არიან სხვის მამულში დღიურ ქირით იმუშაონ და ამგვარათ ორი გროში იშოვონ ოჯახისათვის.

ამ ბოლო ხანებში, როცა სახნავ-სათესი ადგილების გაცემა უფრო შეღავათიან პირობებში იწყეს, ადგილის პატრონები თითონ რჩებიან საკუთარი ადგილის ნაქირავები მუშით დამუშავებას, ვიდრე სამერვეოდ სხვაზე გაცემას. ერთი

---

ბობს. აქ თვითმპყრობელობითი და კონსტიტუციონური მართვა-გამგეობის შეერთებაა, ორი მოპირდაპირე პრინციპის მორიგებაა. ხალხის წარმომადგენლობა და ამავე დროს ბიუროკრატიის სრული ბატონობა—აი რუსეთის დღევანდელი პოლიტიკური ვითარება. მარა ზოგს მართლა გონია, რომ ჩვენში კონსტიტუცია არსებობს. ასეთი „კონსტიტუციონური" ილიუზიებით შეპყრობილი მარტო წმინდა ბურჟუაზიული კლასებია. მათი კლასიური ინტერესი რევოლიუციის მოსპობას მოითხოვს და აი ისინიც ცდილობენ ხალხის მოძრაობა შეაჩერონ და მით რევოლიუცია შეასუსტონ და მერე სავსებით უარყონ. ამიტომაც არის, რომ ისინი არწმუნებენ თავის თავს კონსტიტუციის არსებობაში და ასეთსავე კონსტიტუციონურ ილიუზიას ხალხსაც უქადაგებენ. ხალხის ფართე მასაში კი ასეთ ილიუზიას ადგილი არა აქვს. მას ჯერ კიდევ არ ესმის, რომ მისი მდგომარეობის გაუმჯობესების აუცილებელი პირობა წარმომადგენლობითი, კონსტიტუციონური მართვა-გამგეობაა. მას სწამს „დუმა" და მისგან ელის „მიწასა და თავისუფლებას". ის კი, თუ რანაირი მართვა-გამგეობა უნდა დამკვიდრდეს „დუმის" მეოხებით, ხალხის ფართე მასას სრულიად არ გაეგება. ამნაირათ ის შეპყრობილია არა „კონსტიტუციონალური", არამედ „დუმის" ილიუზიებით. ამ ილიუზიის გაფანტვა—აი სოციალ-დემოკრატიის საგანი ამ ჟამათ.

როგორ შეიძლება ეს?

„ბოლშევიკებს" რომ კითხოთ, ამისათვის სრულიად საკმაოა ფართე აგიტაციის წარმოება. რამდენათ შემცდარია ეს აზრი, ნათლათ სჩანს „დუმის" ბოიკოტის ბედიდან. „ბოლშევიკები", სოციალისტ-რევოლიუციონერები და ძმანი მისნი ანარქისტები სახელმწიფო „დუმაში" მონაწილეობას უარყოფდენ და ხალხს ბოიკოტისთვის მოუწოდებდენ, მარა არა გამოვიდა რა. ხალხის ფართე მასამ მათი აგიტაცია უარჰყო და „დუმაში" წარმომადგენლები გაგზავნა. ასეთივე ბედი მოელის „ბოლშევიკების" ამ ახალ აგიტაციასაც. ხალხს სწამს „დუმა" და სანამ ცხოვრება მის უვარგისობას არ გამოაშკარავებს, „ბოლშევიკების" კომპანია „დუმის" დასანგრევათ ფუჭი ოცნებაა. დუმა ხალხის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაში სავსებით უძლურია. ის ხალხსა და მთავრობის შუა დგას. ხალხს სურს თავისი იარაღათ გამოიყენოს, ის, ბიუროკრატია კი მისი მეოხებით თავისი შერყეული მდგომარეობის აღდგენას ელის. ასეთ მდგომარეობაში ბიუროკრატია, რომელსაც ხელთ უპყრია მთელი მართვა-გამგეობა, დუმის ყოველ ნაბიჯს ეწინააღმდეგება და სანამ ხალხი მას არ გაანადგურებს, ის ფართე დათმობის გზას არასოდეს არ დაადგება. რომც წარმოვიდგინოთ კადეტების სამინისტროს შედგენას დათანხმდენ, სულ ერთია ბიუროკრატია თავის საიდუმლო მუშაობას ხალხის წარმომადგენლობისა და მის სამინისტროს წინააღმდეგ განაგრძობს და მით მოამზადებს აშკარა შეტაკებას ხალხსა და მთავრობის შორის. ამით დუმის როლი გადაწყვეტილი იქნება. მან ხალხის შეგნების გაფართოებასა და მის შეკავშირებას ხელი შეუწყო. აქ კი ხალხი დაინახავს, რომ „დუმასა" და კადეტებს არ შესძლებიათ „მიწისა და თავისუფლების" მოპოვება, რომ ეს მისი (ხალხის) საქმეა, ქუჩის მეოხებით უნდა გადაწყდეს და მით დამფუძნებელი კრების ამა თუ იმ სახით მოწვევა ან დუმის ინიციატივით და ან ამხედრებული ხალხის მეოხებით—უზრუნველყოფილი იქნება.

ამნაირათ, რასაც „ბოლშევიკები" ხალხს სიტყვით ეუბნებიან, ჩვენ საქმითაც ვუჩვენებთ და ეს კი ხალხის პოლიტიკურ აღზრდა-შეგნებას აჩქარებს და მით ჩვენი მიზნის განხორციელებას გვაახლოვებს. ეს რომ სავსებით მართალია, სჩანს სოფლის დღევანდელი მდგომარეობიდან. გუშინ მხოლოდ ეკონომიის გამანადგურებელი გლეხი, დღეს უკვე „დუმის" ზეგავლენით ამნისტიასა და ხშირათ დამფუძნებელ კრებასაც მოითხოვს.

ჩვენი მიზანია დამფუძნებელი კრების მოწვევა. მხოლოდ მას შეუძლია ძველი რეჟიმი სავსებით უარყოს და დემოკრატია დაამყაროს. ვაიძულოთ „დუმა" აიღოს თავის თავზე ინიციატივა დამფუძნებელი კრების მოსაწვევათ—აი რას მოვითხოვთ მისგან. ამიტომაც არის, რომ ჩვენ მხარს ვუჭერთ მას და დამფუძნებელი კრებისაკენ მივაქანებთ. „ბოლშევიკების" აზრით ეს რევოლიუციას დაასუსტებს და მის დამარცხებას ხელს შეუწყობს, ამიტომ ისინი „დუმის" მხარის დაჭერას უარყოფენ და „შრომის ჯგუფის" მომხრეობას ქადაგობენ. საიდან წარმოდგება აზრთა ასეთი სხვადასხვაობა?

„ბოლშევიკებს" გონიათ, რომ რევოლიუციის ერთი გარკვეული გზა აქვს: საერთო შეიარაღებული აჯანყება, დროებითი მთავრობა და მერე დამფუძნებელი კრება. ასეთია მათი აზრით რევოლიუციის აუცილებელი გზა. ცხადია „ბოლშევიკები" ისტორიას უარყოფენ და გარეშე თავისი სურვილისა არას ხედავენ. ჩვენ ვიცით, რომ საფრანგეთის დიდი რევოლიუცია გენერალური შტატების—მაშინდელ „სახელმწიფო დუმის"—მოწვევით დაიწყო. ეს რევოლიუცია ვითარდებოდა შეკავშირებულ ხალხის, უპირველესათ პარიჟის პროლეტარიატისა და წვრილი ბურჟუაზიის ძალდატანებით და სხვადასხვა სახის ხალხის წარმომადგენლობის მეოხებით დემოკრატიულ რესპუბლიკამდის მივიდა.

ამ ხნის განმავლობაში სახელმწიფოს შენობა მსხვილი ბურჟუაზიის კონსტიტუციურ ხელიდან საშუალო ბურჟუაზიის—ჟირონდისტების ხელში გადავიდა და იაკობინელთა—წვრილი ბურჟუაზიის ბელადობით დამთავრდა, ამნაირათ, შეიარაღებული აჯანყება და წარმომადგენლობითი კრებები ერთი მეორეს ავსებდენ და მით რევოლიუციას წინ მიაქანებდენ.

ასეთი იყო საფრანგეთის დიდი რევოლიუციის პროცესი და ჩვენ არავითარი საფუძველი არა გვაქვს ისტორიას ზურგი ავუქციოთ და მხედველობაში არ მივიღოთ. მარქსისტული ტაქტიკა იმით განირჩევა მეტაფიზიკურ-ბლანკისტურიდან, რომ მხედველობაში იღებს საზოგადოებრივ ძალთა ყველა არსებულ და მოსალოდნელ განწყობილებას და ამისდა მიხედვით მოქმედებს. ცხადია, რაკი დუმა ჩვენი სურვილის გარეშე შეკრებილა პროლეტარიატის წინაშე მომაკვდავ ცოდვას ჩავიდენდით, რომ მით არ გვესარგებლა და რევოლიუციის იარაღათ არ გამოგვეყენებინა, ამიტომაც არის, რომ ჩვენ დუმას ძალას ვატანთ და დამფუძნებელი კრებისაკენ ვერეკებით. საქმე იმაშია, რომ მისი მოწვევა ორი გზით შეიძლება: შეიარაღებულ აჯანყებაში გამარჯვებული ხალხი თვით იკისრებს მის მოწვევას, ან დუმა აიღებს თავის თავზე ასეთ ინიციატივას. უკანასკნელ შემთხვევაში აუცილებელი პირობაა—ბიუროკრატიის სრული დეზორგანიზაცია ამისთვის კი სრულიათ საკმაო არის, რის გამომწვევი მიზეზი, ბიუროკრატიული მთავრობის ფინანსიური კრახი ძალიან ადვილი და ჩქარა მოსალოდნელია.

ამიტომაც არის, რომ ჩვენ მხარს ვუჭერთ დუმას, რამდენათაც ის ოპოზიციონურ და რევოლიუციონურ ნაბიჯებს მიადგამს, ხალხის ფართე მასის შეკავშირებას ხელს უწყობს და მით დამფუძნებელი კრებისკენ მიემართება. ერთი ასეთი ნაბიჯი დუმის უმრავლესობიდან სამინისტროს შედგენაა და ამიტომაც ჩვენ მხარს ვუჭერთ დუმის ასეთ მოთხოვნას *).—„ამით თქვენ საშვალებას აძლევთ კადეტებსა და ბიუროკრატიულ მთავრობას მორიგდენ და მით რევოლიუცია დაასუსტონ და ნელ-ნელა ჩააქრონ", გვისაყვედურებენ „ბოლშევიკები".

მართალია თუ არა ეს?

ვ.

(დასასრული იქნება)

*) იხ. ვრცელი წერილი: „დუმის კამპანიის შესახებ".

უღელი ხარით და ერთი მეხრით შეიძლება 25 ქცევა მიწა მოიხნას და დაითესოს. ხოლო რაც შეეხება გათოხნას, ამისათვის ბლომათ მოეპოებათ მეთოხე მუშა ხელი. დამქირავებელი მიწის პატრონი გვერდში უდგა მეთოხე მოჯამაგირეს და თუ კი მოხერხდა, ერთი წუთით არ შეასვენებს. თუ ვინიცობაა ვინმემ ჩაიმუხლა, იცოცხლეთ ლანძღვა შეხვდეს და საყვედური მიიღოს. ჯამაგირი, როგორც მოგახსენეთ, საშვალო რიცხვით ათი შაურის ახლო ტრიალებს და ამ უმნიშვნელო ხელფასთან სადილი სწორეთ შესაფერია. სახელდახელოთ მოთუხთუხებული ფქვილი, ღომი და ერთი თავი დამპალი ტარანა შეადგენს მუშის საზრდოს. სადილს შემდეგ, როცა ცხრა თვალი მზე საშინლათ სწვავს ყველაფერს (უნდა იცოდეთ, რომ თოხვა სიმინდისა სწორეთ მეტის მეტ ცხელ დღეებში იციან, რომ მოჭრილი ბალახი უცებ გახმეს), მუშები მცირე ხნით ისვენებენ. უნდა განახოთ ამ დროს დამქირავებელი! ის ცხმუტავს და ტოკავს, რადგან მის „ნაყიდ" სამუშაო ძალას გამცდარს ხედავს. „ადექით, ადექით, მზემ გადაიარა", იძახის შეწუხებული დამქირავებელი და თან თოხის ყუას ქვაზე სცემს, ვითომ ტარს ამაგრებდეს, ხოლო ნამდვილათ-კი ამ ხმაურობით მუშების გაღვიძებას ცდილობს.

ამ ბოლო დროს მიწის პატრონებს ერთი დაუფასებელი საყვლეფი ძალა გაუჩნდათ. ეს არიან სვანები. წინათ სვანები ზამთრობით ჩამოდიოდენ ბარში და მიწის სამუშაოს ეძებდენ. ახლა ზაფხულობითაც იწყეს ჩამოსვლა და მიწის პატრონებს მეტი რაღა უნდათ. სვანები, როგორც უფრო შეუგნებელნი, უფრო ხელსაყრელი არიან მიწის პატრონებისათვის და ისინიც სარგებლობენ ამ შემთხვევით. სვანებს თითქმის დღიან-ღამიანათ ამუშავებენ და სოფელშიაც არ უშვებენ, რომ იქ სხვა მუშებმა არ გააგებიონ მათი მდგომარეობა.

ეს საზოგადოთ ვილაპარაკეთ მეთოხე მუშების გაჭირვებაზე, მაგრამ თითეული პირები ათას გვარ სისასტიკეს იდენენ და რავალგვარ სიმწარეს აყენებენ მათ. მათიმ მფარველი თითქმის არარავინა სჩანს და თითონაც გაფანტულნი შეერთებას ვერ ახერხებენ. ერთად ერთი გზის მაჩვენებელი ამ შემთხვევაში ადგილობრივი სოციალდემოკრატიული ორგანიზაციებია. ნამდვილ იმათ მოვალეობას შეადგენს ამ ღარიბ-ღატაკი ხალხის ხელმძღვანელობა და მათთვის მათი ინტერესების გამოაშკარავება. ჩვენი მეთოხე მოჯამაგირეების ქარხანა, ეს თვალუწვდენელი საყანე მიწებია, რომლის დიდი უმეტესობა სხვას ეკუთვნის და რომელთანაც იძულებულია დღიურათ იმუშაოს. აი აქ არის საჭირო ადგილობრივ ორგანიზაციების დახმარება. ყორანი.

—

**ტფილისის თერძების მოთხოვნები.** ტფილისის აზიურ სამკერვალოებში მომუშავეებმა შემდეგი მოთხოვნები წარუდგინეს ხაზეინებს: 1) რვა საათის სამუშაო დღე, ორი საათის დასვენებით. 2) მოემატოს ჯამაგირი ამ სახით: ვისაც 10—25 მანეთამდე ეძლევა, მოემატოს მანეთზე 30 კაპ. ვისაც 25—40 მან. მოემატოს მანეთზე 20 კ. ვინც 40 მან. მეტს იღებს, იმას მოემატოს 10 კაპ. მანეთზე. 3) მიეცეს მუშას პურის ფულათ 40 კაპ. 4) შაბათობით მუშაობა ერთი საათით ადრე შეწყდეს. 5) გაფიცვის დროს მუშას მიეცეს სრული ჯამაგირი და დათხოვნილი არ იქნას. 6) წელიწადში ერთი თვე თავისუფალი ჯამაგირისა და ადგილის შენახვით. 7) ავათმყოფობის დროს ერთი თვე ჯამაგირი და სამი თვით ადგილის შენახვა. 8) ხაზეინის მიერ დათხოვნილ მუშას, თუ მას წელიწადზე ნაკლები არ უმსახურია, მიეცეს სამი თვის ჯამაგირი, ხოლო თუ ნაკლები,—ორი თვის. 9) შეგირდების შეგირდობის დრო 3 წლამდე. 10) სრულიად მოისპოს საოსტატო ფული. 11) შეგირდათ აყვანა არა უმეტეს 13 წლისა. 12) პურის ფულათ შეგირდს დღეში 20 კ. 13) სუფთათ ჩაცმა და წმინდა ბინა. 14) თვეში ორჯერ აბანო და დალაქის ფული. 15) აიკრძალოს შეგირდის ოჯახში სამსახური. 16) ზრდილობიანი მოპყრობა. 17) ნაჭრით მომუშავეთა ხელფასი:

ძვირფასი ყარაჩოღული ჩოხა: ალარვა 60 კაპ.; ლეკური 50 კ.; მასალის შეკერვა 2 მან. 50 კ.; საკვესი 2 მ.; ჩაქენიან ჩოხის ალარვა 40 კ.; საბაზრო დაბალი ჩოხები ზემო აღნიშნულ ფასების ნახევარ ფასებში. ორგული ნ. ახალუხი 2 მ.; საყელოიანი 1 მ. 60 კ.; უსაყელო 1 მან. 60 კაპ.

ჩერქეზული და იმერული ტანისამოსი: დაკეცილი ჩოხის ალარვა ხელით 40 კ.; მაშინით ალარვა 30 კ.; მასალის შეკერვა 30 კ; საკვესის დაკერება 40 კ.; საბაზრო ჩოხებზე ორი შაურით ნაკლები. მთელი გამოყვანა დაკეცილი შალის ჩოხისა 1 მ. 80 კ.; მაუდის ჩოხისა 1 მ. 60 კ.; საბაზრო ჩოხისა 1 მ.; ახალუხისა 1 მ. 20 კ.; საბაზრო ახალუხისა 80 კაპ.; ჩერქეზული შარვლისა 50 კ.

ვინაიდან ნაჭრობით სამუშაო უმეტეს ნაწილათ ქალებს ეძლევათ და ქალების სახელოსნოებს ხაზეინები არ აკეთებენ, იძულებული ვართ ნაჭრობით მუშაობა დროებით დავსტოვოთ.

—

ჩვენ მუშებმა ქართ. ამხ. სტამ. წარვუდგინეთ ხაზეინს ეკონომიური მოთხოვნები და თან მოყვა მას გაფიცვა. შემდეგ გაფიცვისა რამოდენიმე მოთხოვნები იქმნა დაკმაყოფილებული და შეგირდებიც შევურიგდით, მხოლოდ სასტიკი უარი გამოგვიცხადეს გაფიცვის ფულის მოცემაზე და ეხლა კი საჭიროთ შევიქმნა გაფიცვის გაგრძელება და კიდევაც ვიქნებით გაფიცულნი მანამდის, სანამ სრულათ არ მივიღებთ გაფიცვის ფულს.

შეგირდთა შეერთებული კავშირი.

# რ უ ს ე თ ი

—

**რა ზომებს ხმარობს სამინისტრო შიმშილის წინაალმდეგ.** რუსეთის მრავალ გუბერნიებში შიმშილობა მძვინვარებს. შიმშილობა ჩვეულებრივ ათასგვარ ავათმყოფობას იწვევს და სიკვდილი ხშირდება. მთელ რუსეთს განსაცდელი მოელის. რას შვრება მთავრობა, როგორ ზრუნავს ის დამშეულთა შესახებ? ვინც ჩვენ ბიუროკრატიას იცნობს, იმისთვის მეტია ასეთი კითხვა, მაგრამ ჩვენ მაინც მოვიყვანთ რამდენიმე ცნობას, რომელიც საკმაოთ ახასიათებს მთავრობის საზიზღრობას. აი მაგალითად რიაზანის გუბერნატორი. ის გუბერნიის რევიზიის დროს არა მარტო კონფისკაციას უშვებს წიგნებს და გაზეთებს, ის ხურავს აგრეთვე სასადილოებს, რადგან იქ „პრაპაგანდას ეწევიანო". სამარის გუბერნიაში ბოქაულის ბრძანებით ურიადნიკები ხურავენ სასადილოებს. ტულის გუბერნიაში დამშეულთა დამხმარებელ კომიტეტის ორი რწმუნებული დაუჭერია პოლიციას. ასევე ხდება სხვა გუბერნიებში. მთავრობა თავისი მტაცებლობით შიმშილს იწვევს და როცა რომელიმე დაწესებულება დამშეულს ლუკმას მიაწოდებს, ბრაზმორეული მთავრობა მას დევნას უწყებს, ლუკმასთან ერთად „კრამოლის" სული არ გადასცესო. მაგრამ მთავრობას ჯერ კიდევ არ დაუკარგავს მთლათ ჭკუა, ის კარგათ გრძნობს, რომ უსამართლოთ იქცევა და ამიტომ სკოლის ბავშვივით ტყუის, ცდილობს ქვეყანას თვალები აუბას. 12 ივნისს მინისტრმა სტოლიპინმა განაცხადა სახელმწ. სათათბიროში; ვიტებსკში გაგზავნილი სდუდენტი რენენკამპფი უსახსრობის გამო დაბრუნდაო. მაგრამ მალე გამოირკვა, რომ რენენკამპფისთვის სამხედრო წესებს არ მიუცია მოქმედების საშუალება—დამშეულებისათვის დახმარების გაწევა და როცა დაბრუნებულა ორი ათასი მანეთი ხელუხლებელი უკან მოუტანია. ასე მხეცურათ იქცევა რუსეთის მთავრობა და თანაც თავის სიმხეცის დაფარვას ცდილობს, მაგრამ როდემდის!

**არც ქრისტეს მოყვარე მხედრობა ისვენებს.** ჯარი, ეს ხალხის ღვიძლი შვილი, აბობოქრდა; მან გაიგო, რომ მთავრობის ხელში ძმის მკვლელათ არის გადაქცეული. ამავე დროს მთავრობის წყალობით ლუკმაპური ენატრება, ადამიანურ ცხოვრებას სრულიად მოკლებულია. ცარსკოე სელოში კირასირის პოლკში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია გაზეთების კითხვის აკრძალვამ.

— ამას წინათ პეტერბურგში სალდათებს მიტინგი გაუმართავთ, ულაპარაკნიათ პოლიტიკურ ვითარებაზე. სხვათა შორის პატივი უციათ შმიდტის ხსოვნისათვის. გამოუცხადნიათ რეზოლიუცია, სადაც ხალხს დახმარებას პირდებიან. ამის გამო მთავრობა დიდ საგონებელშია ჩავარდნილი. ჯერჯერობით ცდილობს ჯარი ერთ ადგილიდან მეორე ადგილას გადაიყვანოს, რომ ხალხს მოარიდოს...

## რუსეთის პრესა

—

სათათბირომ, მოგეხსენებათ, მიიღო სიკვდილით დასჯის გაუქმების კანონ-პროექტი. ამ კანონ-პროექტის განხილვას დიდი კამათი გამოუწვევია სამინისტროს წარმომადგენლებსა და სათათბიროს წევრებს შორის. ამ კამათის გამო „რუსსკ. ვედომ." ამბობს.

„სამინისტრო ერთხელ კიდევ სასტიკათ დამარცხდა. ეს დამარცხება მარტო იმაში კი არ გამოიხატა, რომ სამხედრო პროკურორს ლაპარაკი არ აცალეს და დარბაზიდან გააგდეს... უფრო მნიშვნელოვანი ის არის, რომ სამინისტროს წარმომადგენლებმა ვერც ერთი დარბაისლური არგუმენტი ვერ მოიყვანეს თავის პოზიციის გასამართლებლათ. როცა დუმას სჩქაროთ უნდოდა მიეღო სიკვდილით დასჯის გაუქმების კანონი, მინისტრებმა განაცხადეს, ერთი თვე მოფიქრება გვინდაო. უნდა გვეფიქრა, რომ შჩეგლოვიტოვი ამ ერთ თვეში წამოუყენებდა არგუმენტების მთელს ბატარეას სიკვდილის დასჯის გასამართლებლათ".

არგუმენტების მაგიერათ შჩეგლოვიტოვმა მოიყვანა რაღაც ადგილი პროფ. ლასტის 30 წლის წინათ დაწერილ თხზულებიდან; თავისით კი ის აზრი გამოსთქვა,—რომ

„სიკვდილით დასჯის გაუქმებას სახელმწიფოს გაუქმება მოყვება. სოციალიზმი და ანარხიზმი ერთი და იგივეა, ანარხიზმი სოციალიზმის ლოღიკური დასკვნაა".

საწყალი შჩეგლოვიტოვი! ჩვენ კურთხეულ ქვეყანაში მაინც მოვიდეს, ნახოს, რა დამოუკიდებლობაა სოციალისტებსა და ანარხისტებს შორის: დარწმუნდება, რომ სოციალისტებს ანარხისტებთანაც იმდენი აქვს საერთო, რამდენიც თვით შჩეგლოვიტოვთან.

## პროტესტები ანარქისტების წინაალმდეგ

—

ჩოხატაურის რაიონული პარტიული კრება, რიცხვით 146 კაცი, ენერგიულ პროტესტს აცხადებს ანარხისტების საზიზღარ საქციელის წინაალმდეგ, რომელიც გამოიხატა მათ მიერ სოციალდემოკრატიულ მუშათა პარტიის ქუჩურ ლანძღვა-გინებაში და ცილის წამებაში, ამასთან კრება წინადადებას აძლევს ანარხისტებს, რომ მათი საზიზღარი და გათახსირებული გაზეთი არ გამოდიოდეს „მუშა"-ს სახელით.

კრების მინდობილობით ს. ი. პაიჭაძე და გ. მგალობლიშვილი. (პროტესტს ბეჭედი აზის).

პროტესტები მოვიდა აგრეთვე:

1) ვერის სოც.-დემ. ქალებისაგან. ხელს აწერს 195 ქალი.

2) სტოლიარნი ცეხის მუშებისაგან, ხელს აწერს 108 მუშა.

3) ბათუმის წვრილ კერძო მესაკუთრეთა ჯგუფისგან, 65 კაცი.

4) ჭიათურის ხელოსან პარიკმახერებისაგან და დალაქებისაგან, 21 კაცი.

5) თფილისის რკინის გზის მთავარ სახელოსნოს მუშებისაგან, 92 კაცი.

6) ქუთაისში ადანაიას არაყის სახდელის მუშებისგან და იმ შენობაში მოსამსახურეებისგან, 15 კაცი.

7) კუკიის და ვაგზლის მცხოვრებ მშრომელ ქალებისგან, 100 ქალი.

8) ონტოფაის სოფლის ამხანაგებისგან, 18 კაცი.

9) დაბა ახალქალაქის ს.-დ.-ებისგან, 46 კაცი.

10) „ჰერმესის" სტამბის მუშები, 43 კაცი.

### ღია წერილი ბ-ნ მიმინოს!

ბ-ნო მიმინო, რასა ფიქრობდით მაშინ, როდესაც „ლამპრის" მე-21 №-ში სწერდით ჩემზე საჯაშუშოთ ჩაჯდა ციხეშიო. თუ რომ საბუთები გაქვთ ჩემის ჯაშუშობის დასამტკიცებლათ, გამომყეთ სამედიატორო სამართალში და იქ სთქვით. ჩემის მხრივ ვასახელებ ბ-ნ გიორგი ალექსის ძე გელაშვილს და გიორგი დაფქიაშვილს. თუ ასეთ სამართალს არ დათანხმდებით, მაშინ გაზეთისავე საშუალებით ბოდიში მოიხადეთ, რომ განგებ ასეთი უსინიდისო ცილი დამწამეთ. ველი გაზეთისავე საშუალებით პასუხს.

ვლადიმერ დიმიტრის ძე მეტრეველი.

### ღ ი ა წ ე რ ი ლ ი

ივანე გაბრიელის ძე ცინცაძეს! მობრძანდით, „ლამპრის" რედაქციაში დაგვხვდებით ჩემი მედიატორებით, იმ პირობით, რომ „განაჩენი" ამავე გაზეთში უნდა გამოაშკარავდეს, რადგან თქვენი წერილი და მოქმედება ცილისწამებას შეიცავს, სხვას არაფერს.

კ. თავარ.

## წერილები რედაქციის მიმართ

—

წავიკითხეთ გაზეთ „ლამპრის" № 49-ში სამღვდელოების მიმართვა ნამესტნიკისადმი, სადაც გამოთქმულია პროტესტი სიკვდილით დასჯის წინაალმდეგ და სხვათა შორის მოითხოვენ 27 სალდათის განთავისუფლებას. ჩვენ, ვუერთდებით-რა ამ სასიამოვნო მოვლენას და ვაცხადებთ-რა სრულ თანაგრძნობას ამისთანა მიმართვისადმი, ვუცხადებთ უკმაყოფილებას იმ პირთ, რომელთაც ეს მიმართვა ჰქონდათ მინდობილი ხელის მოსაწერათ და ჩვენ-კი არაფერი შეგვატყობინეს ამ საქმის გამო, რასაც დიდის სიამოვნებით მივეგებებოდით.

მღ. ის. ჩიკურაშვილი, პროტოდიაკონი კონსტანტინე კარგარეთელი, მთავარი ს. ფხალაძე, მთავარ დიაკონი ალექსი სამადალოვი, Діаконъ I. Касаткинъ. Діаконъ В. Разумовичъ, დეკანოზი გ. ასათიანი, მღვდელი ი. აივაზოვი.

—

სამღვდელოების მიმართვა ნამესტნიკისადმი ხელმოწერილი იყო ჩემგანაც, მაგრამ რაღაცა მიზეზის გამო თქვენ პატივცემულ გაზეთში № 49, გამოტოვებული ვარ ხელმომწერთა სიაში.

დეკანოზი მარკოზ ტყემალაძე.

—

„ლამპრის" გუშინდელ №-ში დაბეჭდილია ბ-ნ მიხეილ ოგანოვის წერილი.

ბ-ნი ოგანოვი სწერს: ორ მაისს ასი მანეთი შევიტანე სამეურნეო ბანკში და წევრათ მიღება ვითხოვე. ბანკის გამგემ, ვ. მიქელაძემ, ჩემი თხოვნა მაღლ ქვეშ ამოაფარა და ჯერაც (ესე იგი 28 თიბათვეს) მისთვის მსვლელობა არ მიუციაო.

მართალია, ბ-ნმა ოგანოვმა ორ მაისს არზაც შემოიტანა და ფულიც, ხოლო ფული ასი მანეთი ათ თიბათვეს უკანვე წაიღო. ამის შემდეგ თხოვნასაც არავითარი მსვლელობა არ მისცემია. ეგეთია თავიდანვე ბანკში შემოღებული წესი ყველასათვის. ბ-ნ ოგანოვისათვის განსაკუთრებულ წესებს ვერ შემოვიღებთ.

მიქელაძემ თხოვნა უკან არ დამიბრუნა: „ვთხოვ მიქელაძეს გაზეთის საშუალებით გამომიცხადოს, ბანკის წესებში უწერია ასე, თუ თვითნებობით ჩადის ამასო". რაც გამოსაცხადები იყო, პირადათ გამოვუცხადე ბ-ნ ოგანოვს. ეხლა ბრძანებას იძლევა გაზეთის საშუალებითაც გამომიცხადეო. თუ ყველას, ვისაც ბანკში საქმე აქვს, პირადათაც ავუხსენი საქმის გარემოება და მერე კიდევ გაზეთშიაც იგივე გავუმეორე—ეს ძალიან შორს წავა, ვერ მოვასწრებ. მაგრამ ამ შემთხვევაში, რა გაეწყობა, ბ-ნ ოგანოვის სურვილს დავაკმაყოფილებ და მოვახსენებ, რომ ბანკში შემოტანილი თხოვნები, ანუ არზები, ბანკშივე რჩება, არავის არ ვუბრუნებთ. ეგეთია ჩვენი და სხვა ბანკებისაც წეს-რიგი. ვერც ამ შემთხვევაში მარტო ბ-ნ ოგანოვისათვის სხვა წეს-რიგს ვერ შემოვიღებთ.

ვლ. მიქელაძემ გამომიცხადა—შემიძლია თხოვნები ორ-სამ წლამდი არ განვიხილოვო.

დიდისა და დიდის მოწიწებით ბოდიშს ვიხდი ბ-ნ ოგანოვის წინაშე, მაგრამ იძულებული ვარ მოვახსენო, რომ ზემოხსენებული ამბავი ისე ეწინააღმდეგება სიმართლეს, როგორც სიბნელე სინათლეს. თხოვნების განხილვა არც მე კერძოთ და არც საერთოთ გამგეობას არ ეკუთვნის. თხოვნების განხილვა, წევრების მიღება, თუ არ მიღება, კანონის ძალით, მხოლოდ კომიტეტის საქმეა; ამ საქმის გადაწყვეტაში ჩვენ ხმაც არა გვაქვს. ჩვენ მხოლოდ ცნობებსა ვკრებთ. მაშასადამე, როგორ ვიტყოდი „მე არ განვიხილავ" ისიც „ორ-სამ წლამდის".

ბ-ნ ოგანოვის ფული, ათი თუმანი, ერთი თვე და რვა დღე იყო ბანკში. „ნუ თუ ამ ხნის განმავლობაში ჩემი საქმე ვერ გადაწყვიტეთო." მარტო ბ-ნ ოგანოვის საქმე რომ გვქონოდა, რასაკვირველია, მაგრამ სხვა საქმეებიც გახლდათ—ვერ მოვასწარით.

ერთ საგანსაც მივაქცევ თქვენს ყურადღებას: ათ თიბათვეს ბ. ოგანოვმა ფული გაიტანა და აი, ოცდა სამს თიბათვეს რას სწერს თქვენს გაზეთში: „ამას შემდეგ ჩემი თხოვნა და ფული უკან მოვითხოვე, მაგრამ მათმა ბრწყინვალებამ თხოვნის უკან დაბრუნებაზედაც უარი გამომიცხადა."

ვინც ეგ სიტყვები წაიკითხა, ყველამ ის აზრი გამოიტანა, ვითომ ჩვენ ბ. ოგანოვს არც ფულს ვუბრუნებდეთ, არც არზას.

მოვიწოდებ, ვისაც ნებავს, მობრძანდეს ბანკში და ნახოს ის საბუთი, რომელზედაც ბ. ოგანოვი ხელს აწერს, ფული მივიღეო.

ამ გვარ მოქმედებას ერთი სახელი ჰქვია და დეე, ბ. ოგანოვმა თითონ აღნიშნოს იგი.

ვლ. მიქელაძე.

# დეპეშები

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტო).

25 ივნისი.

**ელისავეტპოლი.** შუშის მაზრაში სომხებს და კაზაკებს შეტაკება მოუხდათ, პოლიციის ნოხელე და ერთი კაზაკი გაიკენწლა.

**ზემლიანსკი.** სოფელ პერელეშკაში გლეხებმა გაანადგურეს სახელმწიფო არყის დუქანი. ბოქაულს ფანჯრები ჩაუმტვრიეს და დარაჯები და მოსამსახურეები გარეკეს. მოვიდნენ კაზაკები. მაგრამ ვერაფერი გააწყეს გლეხებთან. მოხდა შეტაკება, რომლის დროსაც რამდენიმე კაზაკი და გლეხი დაიჭრა.

**კაზლოვი.** „კაზლოვსკაია ჟიზნი"-ს რედაქტორი ტამბოვის გუბერნიიდან გაასახლეს. სტამბა დაბეჭდეს.

**გროდნო.** პრუჟანის მაზრაში აგრარული მოძრაობა შეჩერდა.

**პეტერბურგი.** გუშინ პეტერბურგის სხვა და სხვა ნაწილში პოლიტიკური მანიფესტაციები მოხდა, წითელი დროშებით და რევოლუციონური სიმღერებით. კავალერისტების პატრულები ხელს არ უშლიდენ მანიფესტანტებს. „ოლიმპიას" ბაღთან მანიფესტანტებს და კაზაკებს შეტაკება მოუვიდათ. მანიფესტანტებმა ქვები დაუშინეს. შეტაკების დროს რამდენიმე კაცი დაშავდა.

**გროდნო.** გაიფიცნენ ყველა სტამბის მომუშავენი. მოითხოვეს 8 საათის სამუშაო დღე.

**პეტერბურგი.** სახელმწიფო სათათბირო. თავმჯდომარეობს თავადი დოლგორუკოვი. პეტრუნკევიჩმა წინადადება შეიტანა კრება ორ საათზე დაიწყოს და საღამოს 7 საათზე გათავდეს, ოთხშაბათი და შაბათი აგრარულ კომისიას დაეთმოს და დანარჩენ დღეებში დღის 2 საათამდე, საღამოს 9 საათიდან დანარჩენ კომისიებს. გომართელის, პონიატოვსკის და კუზმინ-კარავაევის შუა კამათის შემდეგ დუმამ მიიღო პეტრუნკევიჩის წინადადება. შემდეგ დუმა შეუდგა კრების შესახებ კანონპროექტის კომისიის 11 წევრის არჩევას. ცემბირელი დეპუტატები სთხოვენ დუმას გაადიდონ აგრარულ კომისიის წევრთა რიცხვი და ციმბირლებს მიეცეთ უფლება მეტი წევრები იყოლიონ ამ კომისიაში. შემდეგ 33-ის კომისიის სახელით კორსაკოვმა მოახსენა დუმას ოთხი შეკითხვა პოლტავის გუბერნატორის ოგაროვნიკოვის უკანონო მოქმედების შესახებ, 10 შეკითხვა გადასახლების შესახებ, და მათ შორის რკინის გზის მოსამსახურეთა უკან მიღების შესახებ, რომლებიც დათხოვნილი იყვნენ გაფიცვის გამო. შემდეგ ხრისტოფსკიმ მოახსენა დუმას პროკურორის უკანონო მოქცევის შესახებ უდაიანოვის მიმართ, რომელსაც ხელწერილი ჩამოართვეს პეტერბურგიდან არ გაიდესო. დუმამ ყველა შეკითხვები მიიღო. კრება შესწყდა. კრების განახლების შემდეგ ილაპარაკეს ბელასტოკის პოგრომის შესახებ. ბარონ როზენმა აღნიშნა, რომ პოგრომი პირდაპირ მთავრობის გამოწვეული იყო, რომელმაც წინდაწინვე იცოდა როგორ უნდა დაწყებულიყო და რამდენს ხანს უნდა გაგრძელებულიყო პოგრომი. მომავალში პოგრომების თავიდან აცილება შესაძლებელია მხოლოდ ფართო ადგილობრივ თვითმართველობის შემოღებით. შემდეგ ილაპარაკა ვინავერმა. ბელასტოკში პოგრომი კი არა, პოგრომის ექსპედიცია იყო, სთქვა მან, მთავრობას უნდოდა მშვიდობიან ხალხის დახოცვით თავზარი დაეცა რევოლიუციონერებისთვის. ორატორი ამბობს, რომ პლევეს სიკვდილის შემდეგ მთავრობას თავ-გზა აებნა. თავის საზიზღარი მოქმედებით მან თითონ გაითხარა სამარე, ასეთ მთავრობას უფლება კი არა მკვლელების ბრბო ესაჭიროება. თუმცა მთავრობა თავისი საზიზღარი ცნობებით ბრალს სდებს ებრაელ ახალგაზდობას, მაგრამ ეს ახალგაზდობა უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იბრძოლებს მთავრობასთან, ჯარიც მთელი რუსეთის ხალხს დაუჭერს მხარს და ყველანი ერთად გაილაშქრებენ მთავრობაზე. ვინავერის შემდეგ ილაპარაკა როდიჩევმა, მან თავის გრძნობიერ სიტყვაში ზიზღით მოიხსენია სამინისტრო, რომელიც საზიზღარ ცილისწამებით რყვნის ჯარს. დუმა ვერაფერს აწყობს სამინისტროსთან. ნუ თუ იმათ არ ესმათ საშინელი ჭექა-ქუხილი? ნუ თუ იმათ არ ესმით, რომ ერთ დღეს ეს ჭექა-ქუხილი აზვირთებულ ნიაღვარს გამოიწვევს და მთელ ქვეყანას წალეკავს?! მაშინ იქნება კიდეც მოიგოხონ მინისტრებმა გადადგომა, მაგრამ გვიან იქნება. (გაცხარებული ტაშის ცემა).

**ელისავეტპოლი.** ზანგეზურის მაზრაში მოკლეს ბოქაული—სომეხი. მკვლელები გაიქცენ.

**კავკავი.** გუშინ გენერალ-გუბერნატორის სახლში მოხდა კრება კაზაკებისა და ინგუშების მომრიგებელ კომისიის. აღმოჩნდა, რომ ინგუშებსა და კაზაკებს შუა შურსა და მტრობას არავითარი საფუძველი არა აქვს და მომავალში ასეთი არა სასიამოვნო ამბავი აღარ განმეორდება.

**ეკატერინოსლავი.** ეკატერინოსლავის რკინის გზის დეპოსთან რევოლვერით ორ ადგილას მძიმეთ დასჭრეს „ტაგის" უფროსი ინჟინერი ფედოროვი.

**პეტერბურგი.** პეტერბურგის ნოქართა კავშირმა დაადგინა 2 ივლისიდან ყველა სავაჭროებსა და წარმოებაში შემოიღონ კვირაობით 24 საათის დასვენება.

**ვარშავა.** გუშინ სახლში, № 43, მივიდა ორი ახალგაზდა ბინის დასაქირავებლათ, რევოლვერით მოკლეს სახლის პატრონი ბინკელშტეინი და გაიქცენ.—სოფელ ვოლიაში მოკლეს დარაჯი.

**ცარევოსანჩურსკი.** აქ არეულობა მოხდა. გაანადგურეს საერობო უფროსების და ერთი მოურავის ქონება, მოვიდა ისპრავნიკი სტრაჟნიკებით და არეულობა შეწყდა.

**კრონშტადტი.** დღეს საზღვაო-სამხედრო სასამართლომ უკანასკნელი სხდომა ნაღმოსანი ბეზმის „ბედოვის" შესახებ. ადმირალი როჟდესტვენსკი თხოულობს უსათუოთ ის დასაჯონ. „მოგმართავთ თქვენ უკანასკნელი თხოვნით, თუ თქვენთვის ძვირფასია ფლოტის მომავალი, მარტო მე დამსაჯეთ სიკვდილით". 12 საათზე სასამართლო შეუდგა განჩინების შედგენას.

**ეკატერინოსლავი.** (ოფიც. კორესპონდენტისაგან). 22 ივნისს, რუდნენკოვსკის ამხანაგობის მადნის და ბისსეს ქარხნის მუშები შეიკრიბენ მიტინგზე, რომელსაც ხელმძღვანელობდა გარეშე ორატორი. პოლიციის მოთხოვნაზე ხალხი არ დაიშალა. გამოიწვიეს დრაგუნები, რომლებმაც ხალხს ალყა შემოარტყეს. ორატორი დაიჭირეს. ხალხი დაიშალა. შემდეგ ამისა ფრანგთა საზოგადოების მადნისათან შეიკრიბა რამდენიმე ათასი მუშა და მოსთხოვეს პოლიციას ორატორის განთავისუფლება. როცა ორატორი იუზოვკასკენ გაატარეს, მუშებმა ქვები დაუშინეს დარაჯებს, ტუსაღი თავლაში შეიყვანეს. მუშებმა თავლის დაწვა მოინდომეს, მაშინ აფიცერმა გაუშვა დატუსაღებული.

რედაქტორ-გამომცემელი კ. თავართქილაძე.

ელექტრო-მბეჭდავი ამხანაგობა „შრომა". ტფილისი, მიხეილის ქუჩა, 65.